კითხვაზე – თუ თვლით, რომ მობინგი ფართოდ გავრცელებულია, რა უნდა გაკეთდეს მის დასამლევად ხელისუფლების ან შესაბამისი ორგანიზაციის მხრიდან, გამოკითხულთა პასუხების მიხედვით, პირველ ადგილზეა: დიდი მნიშვნელობა მიენიჭოს პროფესიონალიზმს (108.); მეორე ადგილზეა: ნეპოტიზმის ფაქტების აღმოფხვრა; მესამე ადგილზეა: ამალდეს ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა (96); მეოთხე ადგილზეა: განხორციელდეს რეგულარული მონიტორინგი (82); მეხუთე ადგილზეა: დაიხვეწოს შრომის კოდექსი (81); მეექვსე ადგილზეა: დაიხვეწოს საჯარო სამსახურის შესახებ კანონი; მეშვიდე ადგილზეა: შეიქმნას მობინგში მონაწილე პირთა დახმარების ცენტრი ორგანიზაციებში.

დასკვნა

ჩვენ მიერ ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, მობინგს, როგორც სოციალურ მოვლენას, შეუძლია საჯარო დაწესებულების ეფექტური საქმიანობა შეაფერხოს. ის იწვევს მნიშვნელოვან ცვლილებებს შრომით ქცევებში და არის საჯარო დაწესებულებაში თანამშრომელთა წარმატების დემოტივატორი. მისი გამოვლენის ფარული და ღია ფაქტები პიროვნებათაშორისი კონფლიქტების წყაროა და უარყოფითად აისახება როგორც მმართველობით პროცესზე ისე ამ მმართველობით მიღებულ შრომის პროდუქტზე.

მობინგის საწინააღმდეგო მექანიზმი უნდა იყოს მობინგის აღმკვეთი სტრატეგიული და ტაქტიკური რეაგირებების ერთობლიობა, ამასთან მსოფლიოში

ცნობილი მექანიზმების გამოყენებისას მხედველობაში უნდა მივიღოთ ქართული ეროვნული თავისებურებები. საჯარო დაწესებულებების ხელმძღვანელებს არ აქვთ გაცნობიერებული მობინგის ზეგავლენა შრომის ნაყოფიერებაზე, არ აქვთ გააზრებული, რომ მობინგისგან არამარტო ობიექტები დადაწესებულება ზარალდება, არამედ სახელმწიფოც. „საქართველოს საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონში არ არსებობს მობინგის დეფინიცია და, შესაბამისად, არ არსებობს მობინგისგან დამცავი არც ერთი მექანიზმი. სუსტია პროფესიულ კავშირების გავლენა ისევე, როგორც ქართული სტერეოტიპების გავლენა – მობინგის მსხვერპლად ყოფნა სირცხვილად და მიუღებელფაქტად მიაჩნიათ ადამიანებს.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე

სასურველია:

- ორგანიზაციაში ეთიკის კოდექსის შემუშავება, რომელშიც ერთმნიშვნელოვნად დაუშვებელი იქნება მობინგი. შეფასების სისტემა უნდა იყოს არაცალმხრივი - თანამშრომელთა შეფასება ხელმძღვანელის მხრიდან, არამედ თანამშრომლებსაც უნდა ჰქონდეთ საშუალება, შეაფასონ როგორც ერთმანეთი, ასევე ხელმძღვანელი სრული ანონიმურობის დაცვით, წელიწადში ერთხელ მაინც, რაც თავის მხრივ გამორიცხავს ხელმძღვანელთა მხრიდან სუბიექტური და ერთპიროვნული გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობას ერთ რომელიმე, კონკრეტულ თანამშრომელთან მიმართებაში.
- თანამშრომლებისთვის ნათელი და გასაგები უნდა იყოს დაწესებულების გრძელვადიანი

- მიზნები და განვითარების გეგმები; ხელმძღვანელობას უნდა ჰქონდეს საკმარისი გამოცდილება და მართვის საჭირო უნარები; უნდა არსებობდეს მკაფიო თანამდებობრივი ინსტრუქციები და კარიერული ზრდის შესაძლებლობა; საჭიროა შრომისსწორი ორგანიზება;
- პროაქტიული მოქმედებები – შიგარგანიზაციული დაორგანიზაციის გარე მოქმედებები. შიგარგანიზაციული მოქმედებების ქვეშ ვგულისხმობთ კონფლიქტის კუპირებას, რომ არ მოხდეს მისი ესკალაცია და არ მიიღოს სისტემატური ხასიათი, რადგან სწორედ მოუგვარებელი და დაუსრულებელი კონფლიქტები ხდება ხშირად მობინგის გამწვავი მექანიზმი. ამისთვის, ორგანიზაციაში უნდა შემუშავდეს გარკვეული სანქციები ეთიკის კოდექსის დარღვევისთვის. რაც შეეხება ორგანიზაციის გარეთ მოქმედებებს, ეს არის ფსიქოლოგებთან კონსულტაციები. თუმცა დღევანდელი მძიმე სოციალურ-ეკონომიკური დეგონარეობიდან და, შესაბამისად, სტრესული სიტუაციების მატებიდან გამომდინარე, სასურველია, ყველა ორგანიზაციას პერსონალის მართვის განყოფილებაში ჰყავდეს პროფესიონალი ფსიქოლოგი, რომელიც იმუშავებს როგორც კონფლიქტების მოგვარებაზე, ასევე მობინგის გამოვლენაზე და დაეხმარება მობინგში მონაწილე პირებს, ჩაატარებს ტრენინგებს ამ მიმართულებით და გაუწევს ფსიქოლოგიურ კონსულტაციას თანამშრომლებს.
- შემუშავდეს სამუშაო კმაყოფილების კითხვა-რი, რომელიც მოიცავს კითხვებს პირადი კმა-

ყოფილების, სოციალური კმაყოფილების, შრომითი კმაყოფილების შესახებ. პერსონალის მართვის განყოფილების ფსიქოლოგი განახორციელებს აღნიშნულ მონიტორინგს და გამოკითხვის საფუძველზე მოახდენს სამუშაო

ატმოსფეროს ანალიზს, გამოავლენს ორგანიზაციის პრობლემებს ქმ მიმართულებით და შეიმუშავებს მათი გადაჭრის როგორც ზოგად, ასევე ინდივიდუალურ გზებს.

ლიტერატურა

1. The main categories of P.Bourdieu's socio-analysis. (17.08.2021) Retrieved from: <http://socium.ge/downloads/tanasoetioii/PierreBourdieusociology.pdf>
2. Law of Georgia on Public Service.
3. Nijaradze, G., Mshvidobadze, R., Asatiani, T., Cikhiseli, T. (2010). Conflicts. International center on conflict and negotiation.
4. European Parliament (2018). Report on measures to prevent and combat mobbing and sexual harassment at workplace, in public spaces, and political life in the EU. 17-20. Retrieved from: https://www.europarl.europa.eu/doceo/document/A-8-2018-0265_EN.pdf
5. Zuschlag, B. (2021). Mobbing: Bullying at workplace. Göttingen: *Hegrefe-Verlag*. (In German);
6. Leymann, H. (1990). Mobbing and psychological terror at workplaces. *Violence and Victims*. 5. 19-125
7. Hoel, H., Cooper, C. (2001). Destructive conflict and bullying at work. Extracts of study report compiled for Launch of the Civil Service Race Equality Network. <http://www.bollettinoadapt.it/old/files/document/19764Destructiveconfl.pdf> seen [14.05.2021]
8. Knorz, C. Zapf, D. (1996) Mobbing: At the workplace. Guide for Workshops and Organization Psychology. Stuttgart: *Publisher for applied psychology*.
9. Einarsen, S., Hoel, H., Zapf, D., Cooper, C. (ed.). (2004). Bullying and Emotional Abuse in the Workplace. International perspectives in research and practice. London: *Taylor & Francis e-Library*.
10. Neuberger, O. (1994) Mobbing: Playing badly in organisations. Munich: *Rainer Hampp Publisher*.
11. Kolodey, K. (2007). Mobbing. Psychoterror in the workplace and methods to overcome from it / translation from German, Humanitarian Center.

UDC 005.3

SCOPUS CODE 1401

<https://doi.org/10.36073/1512-0996-2021-3-21-29>

Mobbing as an Impediment to Effective Governance in Public Institutions

Nato Katamadze Department of Public Administration and E-Business, Georgian Technical University, Georgia, 0160, Tbilisi, 77 M. Kostava str.

E-mail: Nato.katamadze41@gmail.com

Marine Berdzenadze Department of Social Sciences, Georgian Technical University, Georgia, 0160, Tbilisi, 77 M. Kostava str.

E-mail: mariberdzen@gmail.com

Reviewers:

M. Tsatsanashvili, Invited Professor, Faculty of Business Technology, GTU

E-mail: m.tsatsanashvili@yahoo.com

D. Metreveli, Professor, Faculty of Economics, Media Technology and Social Sciences, GTU

E-mail: metreveli.lia@mail.ru

Abstract. Problems in the governance process are often caused by incorrect personnel policy and consist of different segments. Mobbing – is a tendency that is still neglected and it is not often mentioned. It is very significant to identify and timely eliminate the causes of mobbing among public servants in Georgian public institutions in order to administer the institution properly, and also to embark effectively on a career development path.

Negative interactions between co-workers in public institutions and challenges within the team greatly affect not only the productivity and quality of work, but also the motivation and success of public servants. To make quality improvement and focus on the enhancement in the labor process is the main factor that is spent on aggression and dealing with the controversies within employees.

The article depicts the factors that cause mobbing and how this is related to the organizational culture, career advancement and success of employees in the labour teams of Georgian public institutions. Besides, how the current situation impacts on the management process.

Key words: career advancement; mobbing; nepotism; public institution; public servant.

UDC 005.3

SCOPUS CODE 1401

<https://doi.org/10.36073/1512-0996-2021-3-21-29>

Моббинг как препятствие на пути к эффективному управлению в государственных учреждениях

- ნათო კატამაძე** Департамент государственного управления и электронного бизнеса, Грузинский технический университет, Грузия, 0160, Тбилиси, ул. М. Костава, 77
E-mail: Nato.katamadze41@gmail.com
- მარინე ბერძენაძე** Департамент социальных наук, Грузинский технический университет, Грузия, 0160, Тбилиси, ул. М. Костава, 77
E-mail: mariberdzen@gmail.com

Рецензенты:

М. Цацанашвили, приглашенный профессор факультета бизнес-технологий ГТУ

E-mail: m.tsatsanashvili@yahoo.com

Д. Метревели, профессор факультета экономики, медийных технологий и социальных наук ГТУ

E-mail: metreveli.lia@mail.ru

Аннотация. Проблемы в процессах управления часто вызваны неправильной кадровой политикой и состоят из разных сегментов. Моббинг – это явление, которое хоть и довольно распространено в трудовых организациях, но как-то табуировано и не так часто упоминается. Своевременное выявление и устранение причин моббинга важно не только для нормального функционирования учреждения, но и для эффективного развития персонала и их продвижения по службе.

Негативное взаимодействие между сотрудниками в государственных учреждениях, противопоставления внутри персонала влияют не только на производительность и качество работы, но также на мотивацию и успех государственных служащих. Энергия, которую необходимо затратить на создание качественного продукта в процессе труда, тратится на агрессию, используется для борьбы друг с другом и защиты друг от друга.

В статье рассматриваются факторы, вызывающие моббинг; показано, как это явление связано с культурой организации, карьерным ростом и успехами сотрудников в рабочих коллективах государственных учреждений Грузии; какое влияние оказывает моббинг на процесс управления.

Ключевые слова: госслужащий; государственное учреждение; карьерный рост; моббинг; nepotizm.

განხილვის თარიღი 10.07.2021

შემოსვლის თარიღი 02.06.2021

ხელმოწერილია დასაბეჭდად 29.09.2021

UDC 657.1

SCOPUS CODE 1402

<https://doi.org/10.36073/1512-0996-2021-3-30-39>

დარიცხვის მეთოდის არსის გაგებისათვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად

ბიძინა

გრიგალაშვილი

ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური
უნივერსიტეტი, საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას 77

E-mail: grigalashvilibidzina gmail.com

რეცენზენტები:

ნ. ფაილოძე, სტუ-ის ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის პროფესორი

E-mail: n.failodze@gtu.ge

დ. ჯალაღონია, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

E-mail: Dato.jalagonia@gmail.com

ანოტაცია. ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების შემოღება მნიშვნელოვანი მოვლენა იყო საქართველოს საბუღალტრო აღრიცხვის პრაქტიკაში. ერთ-ერთი სიახლეა „სააღრიცხვო პოლიტიკის“ და მისი ისეთი ელემენტის დამკვიდრება ფინანსური ანგარიშგების შედგენისას, როგორცაა „დარიცხვის მეთოდი“. აღნიშნული მეთოდი საბჭოთა ბუღალტრულ აღრიცხვაში არ გამოიყენებოდა. დეფინიციებმა საერთაშორისო სტანდარტების შემოღებიდან ვიდრე დღემდე გარკვეული სახეცვლილებები განიცადა.

ნაშრომში განალიზებულია განხორციელებული ცვლილებები, საერთაშორისო სტანდარტებში და კონცეპტუალურ საფუძვლებში მოცემული დეფინიციები, სხვადასხვა ავტორთა შეხედულებები ამ საკითხთან დაკავშირებით და გამოტანილია შესაბამისი დასკვნები. კვლევის საფუძველზე დასა-

ბუთებულია, რომ „დარიცხვის მეთოდი“ გამოყენებულ იქნეს საწარმოს მიერ შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება/ასახვის დროს და არა აქტივებისა და ვალდებულებების მიმართ. სხვადასხვა განმარტების შეჯერებისა და ანალიზის საფუძველზე შემოთავაზებულია „დარიცხვის მეთოდის“ ავტორისეული განმარტება.

საკვანძო სიტყვები: ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები; ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები; სააღრიცხვო პოლიტიკა; დარიცხვის მეთოდი.

შესავალი

საწარმოს ფინანსური ანგარიშგება მთელი სააღრიცხვო ციკლის დამამთავრებელი ეტაპია. ფინანსური ანგარიშგების სანდოობა, მიუკერძოებლობა

და სამართლიანი წარდგენა დიდად არის დამოკიდებული იმ სააღრიცხვო პოლიტიკაზე, რომელსაც საწარმო შეარჩევს ბუღალტრული აღრიცხვის წარმოებისა და ფინანსური ანგარიშგების შედეგისათვის. სააღრიცხვო პოლიტიკის დანიშნულებაა ინფორმაციის მომხმარებელს მიეწოდოს სრულყოფილი და საიმედო ინფორმაცია საწარმოს ქონებრივ მდგომარეობაზე და ფინანსურ შედეგებზე. მასში შეიძლება აისახოს ისეთი მნიშვნელოვანი მომენტები, როგორცაა: აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების აღიარების მეთოდები და სხვ. ერთ-ერთ ასეთ მეთოდად მიჩნეულია „დარიცხვის მეთოდი“. „საბჭოთა ბუღალტრულ აღრიცხვაში ეს მეთოდი აღიარებული არ იყო, თუმცა მისი ელემენტები პრაქტიკაში გამოიყენებოდა, მაგალითად, დარიცხული ხელფასი, სოცდაზღვევის ანარიცხები და სხვა ანალოგიური ხარჯები ხარჯებად აისახებოდა მოცემულ საანგარიშო პერიოდში, მიუხედავად იმისა, რომ მათი გაცემა ხდებოდა მომდევნო პერიოდში“¹ ამ მეთოდთან ერთად საერთაშორისო სტანდარტები აღიარებს „ფუნქციონირებადი საწარმოს“ პრინციპს, რომლის მიხედვითაც იგულისხმება, რომ საწარმო თუ ფინანსურ ანგარიშგებას ამზადებს, ის არ აპირებს საქმიანობის შეწყვეტას.

საქართველოს მიერ საბუღალტრო აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების აღიარების შემდეგ „დარიცხვის მეთოდის“ გამოყენება სავალდებულო გახდა. მას მიენიჭა უპირატესობა საკასო მეთოდთან

შედარებით. ამ უკანასკნელის გამოყენება აკრძალული არ არის, თუმცა საგადასახადო კოდექსის მიხედვით მისი გამოყენება ნაწილობრივ იზღუდება.

„დარიცხვის მეთოდის“ განმარტებამ საერთაშორისო სტანდარტების შემოღებიდან ვიდრე დღემდე გარკვეული მეტამორფოზა განიცადა. ამიტომ უპირანია მიმოვიხილოთ ის ცვლილებები და სხვადასხვა ავტორთა შეხედულებები ამ საკითხთან დაკავშირებით.

ძირითადი ნაწილი

საბუღალტრო აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების გამოყენება საქართველოში სავალდებულო გახდა 2000 წლიდან. თუმცა აღსანიშნავია, რომ „ბასს-ების ოფიციალურ დამტკიცებულ ტექსტად ითვლება ბასსკ-ის მიერ გამოცემული ტექსტი ინგლისურ ენაზე“².

ქართულ ენაზე სტანდარტების პირველ გამოცემაში (2000წ. შემოღებული იქნა 34 სტანდარტი და სტრუქტურული საფუძვლები) „დარიცხვის მეთოდი“ განმარტებულია „ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის სტრუქტურულ საფუძვლებში“, სადაც ვკითხულობთ - „თავისი მიზნებიდან გამომდინარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებას საფუძვლად უდევს დარიცხვის მეთოდი. ამ მეთოდის თანახმად სამეურნეო ოპერაციების შედეგები აისახება მოხდენის მომენტში და არა ფულადი სახსრებისა და მისი ეკვივალენტების მიღებისა და გადახდის დროს. ამასთან ისინი გა-

¹ ლ. გრიგალაშვილი. ფინანსური აღრიცხვა. გამომცემლობა „გეორგია“, თბ., 2014წ. გვ. 275.

² ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები ბაფ-ის გამომცემლობა, თბ., 2000 წ. გვ. 4.

ტარდება სათანადო ბუღალტრულ დოკუმენტებში³ როგორც ვხედავთ ამ განმარტებაში ყურადღება გამახვილებულია სამეურნეო ოპერაციის შედეგზე, როგორცაა მაგალითად, საქონლის გაყიდვა, რომლის საფუძველზეც საწარმო ერთი მხრივ აღიარებს მოთხოვნას, ხოლო მეორე მხრივ მან უნდა აღიაროს ჯერ კიდევ მიუღებელი შემოსავალი. ანალოგიური მიდგომა გამოიყენება ხარჯების მიმართაც, ანუ გადაუხდელი თანხები ხარჯებად აღიარდება ბუღალტრული (ფინანსური) თვალსაზრისით.

ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების მომდევნო გამოცემა 2004 წელს განხორციელდა, რომელშიც შეტანილ იქნა შემდეგი ცვლილებები: ბასს-ის მიერ შემუშავებული ფინანსური ანგარიშგების ხუთი ახალი საერთაშორისო სტანდარტი; გადაისინჯა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები, რომლის მიზანიც იყო მათი გაუმჯობესება და ხარისხის ამაღლება; ახალი სტანდარტებისა და არსებულის გადასინჯვის საფუძველზე მოქმედ სტანდარტებში შეიტანეს შესაბამისი ცვლილებები; ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებს ეწოდა „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები“

ყოველივე აღნიშნულის საფუძველზე მივიღეთ სტანდარტების სამი ჯგუფი:

- ფინანსური ანგარიშგების 5 საერთაშორისო სტანდარტი (ფასს);
- ბუღალტრული აღრიცხვის 32 საერთაშორისო სტანდარტი და
- 11 ინტერპრეტაცია.

ამ გამოცემის ერთ-ერთი მიზანი სტანდარტების გაუმჯობესებაც იყო, რომლის შესახებაც აღნიშნულია, რომ – „ბასს-ის გაუმჯობესების პროექტის შედეგად გადაისინჯა ბუღალტრული აღრიცხვის თხუთმეტი საერთაშორისო სტანდარტი. ამ პროექტის მიზანი გახლდათ ალტერნატივების, გამეორებებისა და სტანდარტებს შორის წინააღმდეგობების შემცირება ან აღმოფხვრა, სტანდარტების შეჯერების საკითხის გადაწყვეტა და სხვა გაუმჯობესების გადაწყვეტა“.⁴ აქვე აღვნიშნავთ, რომ ეს არის სერიოზული ხარვეზები, რომელსაც სტანდარტები არ უნდა შეიცავდეს.

მომდევნო გამოცემა 2010 წელს განხორციელდა, რომელშიც შეიტანეს შემდეგი ცვლილებები: დაემატა ერთი ახალი სტანდარტი ფასს - 9 „ფინანსური ინსტრუმენტები“; გადაისინჯა ბასს - 4 „დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“; სხვადასხვა ფასს - ებში განხორციელდა ცვლილებები და გამოიცა ორი ახალი ინტერპრეტაცია ფაისკ - 18 „აქტივების გადაცემა მომხმარებლების მიერ“ და ფაისკ - 19 „ფინანსური ვალდებულებების დაფარვა წილობრივი ინსტრუმენტებით“. რაც შეეხება „აღრიცხვის მეთოდს“, მის განმარტებაში 2000 წლის გამოცემასთან მიმართებით, 2004 წელს რაიმე სახის ცვლილებები არ განხორციელებულა.

ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ 2010 წლის სექტემბერში გამოსცა „კონცეპტუალური საფუძველები“, რომელმაც ჩაანაცვლა მანამდე მოქმედი „სტრუქტურული

³ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები, ბაფ-ის გამომცემლობა, თბ., 2000 წ. გვ. 30

⁴ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები. გამომცემლობა „თერგი XXI“, 2005 წ. გვ. X

საფუძვლები“. ამ უკანასკნელ დოკუმენტში, საერთაშორისო სტანდარტების შემუშავებიდან ვიდრე „კონცეპტუალური საფუძვლების“ გამოცემამდე, საწარმოსათვის ყოველთვის სავალდებულო იყო ორი ისეთი ძირითადი დამკვეთის გამოყენება, როგორცაა „დარიცხვის მეთოდი“ და „ფუნქციონირებადი საწარმო“. დღეისათვის დატოვებულია მხოლოდ ერთი - „ფუნქციონირებადი საწარმო“, რომელშიც აღნიშნულია, რომ თუ საწარმო ფინანსურ ანგარიშგებას შეადგენს, ე.ი. ის თავის საქმიანობას აგრძელებს მომავალშიც და არ აპირებს მისი მასშტაბების შემცირებას ან საერთოდ ლიკვიდაციას. მაგრამ თუ ამის საჭიროება არსებობს, მაშინ საწარმომ ანგარიშის შედგენას სხვა საფუძველი უნდა დაუდოს და ეს ყველაფერი განმარტოს შენიშვნების სახით⁵. ამასთან აღვნიშნავთ, რომ თუ საწარმოს განზრახული აქვს საქმიანობის შეწყვეტა ან მისი მასშტაბების საგრძნობლად შემცირება, მან ფინანსური ანგარიშგება მაინც უნდა მოამზადოს და წარადგინოს.

ამჟამად ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სრული კომპლექტი მოიცავს ფინანსური ანგარიშგების 16 საერთაშორისო სტანდარტს, ბუღალტრული აღრიცხვის 25 საერთაშორისო სტანდარტს და „ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალურ საფუძვლებს“⁶

სანამ „დარიცხვის მეთოდს“ დავუბრუნდებოდეთ მიზანშეწონილად მიგვაჩნია გამოვთქვათ ჩვენი მოსაზრება ამ სტანდარტების საერთო

დასახელების ანუ სახელწოდების შესახებ. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჯერ ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტმა (ბასსკ), მოგვიანებით კი საბჭომ (ბასს) გამოსცეს – „ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები (ბასს)“, ხოლო შემდეგ – „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები (ფასს)“.

სტანდარტების 2000 წლის ქართულ გამოცემაში ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტები განმარტებულია შემდეგნაირად, „ყოველ ქვეყანაში ფინანსური ანგარიშგების გამოცემისას მეტნაკლებად გაითვალისწინება ადგილობრივი წესები. ეს წესები მოიცავს ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტებს, რომელსაც ავრცელებენ მარეგულირებელი ორგანოები“⁷. მასასადამე, ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტები არის ბუღალტრული აღრიცხვის წარმოების წესები, ხოლო საერთაშორისო სტანდარტები, ბუღალტრული აღრიცხვის წარმოების საერთაშორისო წესები.

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებში აღნიშნულია, რომ ფინანსური ანგარიშგება სტრუქტურულად გვიჩვენებს საწარმოს ფინანსურ მდგომარეობას და საქმიანობის ფინანსურ შედეგებს⁸.

ბუღალტრული აღრიცხვის N1 საერთაშორისო სტანდარტში „ფინანსური ანგარიშგების წარდგენა“, მოცემულია შემდეგი სახის განმარტება - ფასს სტანდარტები შედგება უშუალოდ სტანდარტებისა და

⁵ <https://saras.gov.ge/ka/lfrs/Pdf/542>, კონცეპტუალური საფუძვლები, 3.4.1.

⁶ <https://saras.gov.ge/ka/lfrs/Pdf/542>.

⁷ ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები. ბაფ-ის გამომცემლობა, თბ., 2000 წ. გვ. 21. 3.9.

⁸ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები, გამომცემლობა „თერგი XXI“, 2005 წ. გვ. 558

ინტერპრეტაციებისაგან, რომლებსაც გამოსცემს ბასს საბჭო.

ფასს მოიცავს:

ა) ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებს;

ბ) ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებს და

გ) ინტერპრეტაციებს⁹

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ცხადია, რომ ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება და ფინანსური ანგარიშგების შედგენა არის ორი განსხვავებული რამ. შესაბამისად, საერთაშორისო სტანდარტებიც ორი მიმართულებით მუშავდება. აქედან გამომდინარე მიზანშეწონილად მიგვაჩნია ამ დოკუმენტს ეწოდოს „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები“ და არა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები“, რომელიც თავის თავში მოიცავს ისევ ფასსებ-ს და ბასსებ-ს. წინააღმდეგ შემთხვევაში გამოდის, რომ მთელი, თავის თავში მოიცავს ისევ მთელს და კიდევ სხვა ნაწილს, რაც, რა თქმა უნდა მართებული არ არის.

ახლა დავუბრუნდეთ „დარიცხვის მეთოდს“. დარიცხვის მეთოდის არსს ავტორები რამდენადმე განსხვავებული ინტერპრეტაციით წარმოგვიდგენენ, მაგალითად პროფ. ლ. გრიგალაშვილი მას შემდეგნაირად განმარტავს: „დარიცხვის მეთოდის არსი იმაში მდგომარეობს, რომ მოვლენებისა და შედეგების აღიარება ხდება მათი მოხდენისთანავე

და არა ფულადი თანხების მიღების ან გადახდის დროს. დარიცხვის მეთოდის შესაბამისად რეალიზებულად ითვლება მიწოდებული პროდუქცია მიუხედავად იმისა, თანხა შემოსულია თუ არა მიმწოდებლის ანგარიშზე; ხარჯები გაწეულად ითვლება მათი დარიცხვისთანავე“¹⁰.

სხვა ავტორები შემდეგ განმარტებას გვთავაზობენ: „დარიცხვის მეთოდით შემოსავლების აღიარებისათვის საკმარისია, რომ საკუთრების უფლება საქონელზე და მომსახურებაზე გადაეცეს მყიდველს და მან აღიაროს გარიგების საფუძველზე წარმოქმნილი ვალდებულების დაფარვა კონტაქტით დადგენილ ვადაში“¹¹. როგორც ვხედავთ, ამ შემთხვევაში ავტორებს ყურადღება გამახვილებული აქვთ საქონელზე საკუთრების უფლების გადაცემაზე და მყიდველის მიერ ვალის აღიარებაზე.

პროფ. ე. ხარაბაძის განმარტებით “ამ მეთოდის თანახმად სამეურნეო ოპერაციების შედეგებისა და სხვა მოვლენების აღიარება ხდება მათი მოხდენისთანავე და არა ფულადი სახსრებისა და მისი ეკვივალენტების მიღებისა და გადახდის დროს. ამასთან ისინი გატარდება სათანადო ბუღალტრულ დოკუმენტებში და აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, რომელსაც განეკუთვნება“¹². ამ შემთხვევაში ავტორი სტანდარტისეულ განმარტებას ეყრდნობა.

ავტორთა ჯგუფი, ზ. ლიპარტია, ნ. ფაილოძე და სხვ. დარიცხვის მეთოდს „დარიცხვის პრინციპად“ მოიხსენიებენ და შემდეგ განმარტებას იძლევიან:

⁹ <https://saras.gov.ge/ka/Ifirs/Pdf/517>, ბასს-1, პ. 7

¹⁰ ლ. გრიგალაშვილი. ფინანსური აღრიცხვა, გამომცემლობა „გეორგია“, თბ., 2014წ, გვ. 275.

¹¹ ა. ხორავა და სხვ. ბუღალტრული აღრიცხვა. გამომცემლობა „მერიდიანი“, 2012წ. გვ. 471.

¹² ე. ხარაბაძე. ფინანსური აღრიცხვა. გამომცემლობა „უნივერსალი“, თბ., 2009წ., გვ. 149

„დარიცხვის პრინციპი გულისხმობს, რომ საწარმოს შემოსავლების აღიარება-ასახვა ხდება აქტივის მყიდველზე გადაცემის ან მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევისას, ე. ი. საქონლის გაყიდვიდან მიღებული ამონაგები შემოსავლად აღიარდება და ბუღალტრულ აღრიცხვაში აისახება მაშინ, როდესაც საქონლის ფლობასთან დაკავშირებული რისკი და სარგებელი მყიდველს გადაეცემა“¹³

დღეისათვის მოქმედი ბასს - 1 დარიცხვის მეთოდის გამოყენების ვალდებულებას და მის შინაარსს შემდეგნაირად განმარტავს: „საწარმომ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას უნდა გამოიყენოს დარიცხვის მეთოდი, რომლის დროსაც აქტივები, ვალდებულებები, შემოსავლები და ხარჯები უნდა აღიარდეს მაშინ, თუ ისინი დააკმაყოფილებენ კონცეპტუალურ საფუძვლებში მოცემულ განმარტებას და აღიარების კრიტერიუმებს“¹⁴. თუ მოცემულ განმარტებას შევადარებთ ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების 2000 წლის ქართულ გამოცემასთან, იკვეთება, რომ შემოსავლებისა და ხარჯების აღიარების გარდა, დარიცხვის მეთოდში იგულისხმება აგრეთვე აქტივებისა და ვალდებულებების აღიარების საკითხიც. ამასთან აღიარების კრიტერიუმები უკვე ბუღალტრული აღრიცხვის NI საერთაშორისო სტანდარტში კი არ არის მოცემული, არამედ „კონცეპტუალურ საფუძვლებში“.

„კონცეპტუალური საფუძვლების“ მიხედვით

„აქტივი ის რესურსია, რომლისგანაც საწარმომ მომავალში ეკონომიკური სარგებელი უნდა მიიღოს, ხოლო ვალდებულების დაფარვა საწარმოდან რესურსების გასვლას გამოიწვევს. ამასთან, იგი მიმდინარე პერიოდის ვალდებულებაა, რომელიც წარსულში მომხდარი მოვლენების შედეგად არის წარმოქმნილი“¹⁵. აქ საინტერესოა ერთი დეტალიც, კერძოდ, „კონცეპტუალური საფუძვლების“ 4.5 პუნქტის შესაბამისად, „აქტივებისა და ვალდებულებების განმარტებებში მხოლოდ არსებითი ნიშანთვისებებია აღწერილი, მაგრამ განსაზღვრული არ არის მათი ბალანსში ასახვის კრიტერიუმები“¹⁶ ეს კრიტერიუმები მოცემულია 4.38 პუნქტში – „მუხლი, რომელიც ფინანსური ანგარიშგების ელემენტია ამ ელემენტის განმარტების შესაბამისად, მაშინ უნდა აღიარდეს და აისახოს ფინანსურ ანგარიშგებაში, თუ: ა) მომავალში ამ მუხლით მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მიღება ან საწარმოდან გასვლა; და ბ) შესაძლებელია ამ მუხლის თვითღირებულების ან ღირებულების საიმედოდ შეფასება“¹⁷. ამ პრობლემის გადასაწყვეტად პირველ რიგში უნდა განვსაზღვროთ რა არის „აქტივებისა“ და „ვალდებულებების“ ბუღალტრულ აღრიცხვაში ასახვა და შემდეგ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვა.

ბუღალტრულ აღრიცხვაში ასახვა არის სამეურ-

¹³ ნ. ფაილოძე, ჯ. ალანია, ზ. ლიპარტია, ვლ. კეკელიძე, ო. ხუციშვილი. საბუღალტრო საქმე, ტ. I, საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, 2008წ., გვ. 28.

¹⁴ <https://saras.gov.ge/ka/Ifirs/Pdf/517>, ბასს-1, პ. 27-28

¹⁵ <https://saras.gov.ge/ka/Ifirs/Pdf/517>, კონცეპტუალური საფუძვლები, პ. 4.4.

¹⁶ <https://saras.gov.ge/ka/Ifirs/Pdf/517>, კონცეპტუალური საფუძვლები, პ.4.5.

¹⁷ <https://saras.gov.ge/ka/Ifirs/Pdf/517>, კონცეპტუალური საფუძვლები, პ. 4.38

ნეო ოპერაციაზე, როგორც მომხდარ ფაქტზე პირველადი დოკუმენტის შედგენა და ამის საფუძველზე ამ ოპერაციის ბუღალტრულ ანგარიშებზე ასახვა. მაგალითად, ძირითადი საშუალებების, საქონლის, ნედლეულის ან მასალების შექმნა ან შექმნის დროს ვალდებულების წარმოქმნა. მომდევნო ეტაპია ამ აქტივების ან ვალდებულებების ფინანსურ ანგარიშგებაში (ბუღალტრულ ბალანსში) აღიარება/ასახვა. აქ შეიძლება გამოვიყენოთ სტანდარტის მოთხოვნა, რომ „აღიარება არის საწარმოს ბალანსში ან მოგება/ ზარალის ანგარიშში იმ მუხლის ასახვის პროცესი, რომელიც აკმაყოფილებს შესაბამისი ელემენტის განმარტებას და გულისხმობს მოცემული მუხლის სიტყვიერ და თანხობრივ ასახვას ბუღალტრულ ბალანსში და მოგება/ ზარალის ანგარიშში“. აქვე აღვნიშნავთ, რომ ასახვა უნდა გულისხმობდეს არა მარტო ბუღალტრულ ბალანსში ანუ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვას, არამედ ბუღალტრულ აღრიცხვაში ასახვასაც. ეს პროცესი კი არის „სამეურნეო ოპერაციის რეგისტრაცია“ ბუღალტრულ აღრიცხვაში და შემდეგ ასახვა ფინანსურ ანგარიშგებაში და არა „დარიცხვის მეთოდი“. აქედან გამომდინარე მიგვაჩნია, რომ „აქტივებისა“ და „ვალდებულებების“ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარება/ასახვის საკითხში „დარიცხვის მეთოდის“ გამოყენება არ არის მართებული მოთხოვნა. „დარიცხვის მეთოდი“ უნდა გამოვიყენოთ მხოლოდ „შემოსავლებისა“ და „ხარჯების“ აღიარება/ასახვისას და მასთან არ უნდა გავაიგივოთ აქტივებისა და ვალდებულებების აღიარება/ასახვის

საკითხები. აღნიშნული მოსაზრების გასამყარებლად შეიძლება მოვიყვანოთ ბუღალტრული აღრიცხვის განმარტებითი ლექსიკონი, სადაც ტერმინი „დარიცხვა“ შემდეგნაირად არის წარმოდგენილი: „დარიცხვა (ინგლ. accrueing) - ბუღალტრული გატარება, რომელიც ასახავს შემოსავლების ან ხარჯების აღიარებას“¹⁸. მამასადამე დარიცხვაში უნდა ვიგულისხმოთ შემოსავლების მიღების უფლება ან ხარჯების გაწევის ვალდებულება, როგორცაა მაგალითად, მისაღები პროცენტების დარიცხვა, მისაღები ჯარიმების დარიცხვა ან გადასახდელი ხელფასის დარიცხვა, გადასახადების დარიცხვა, გადასახდელი ვალდებულებების დარიცხვა და სხვ.

ყოველივე ზემოაღნიშნულის საფუძველზე შეიძლება ჩამოვყალიბოთ „დარიცხვის მეთოდის“ შემდეგი დეფინიცია: „დარიცხვის მეთოდი – მეთოდი, რომლის მიხედვითაც შემოსავლების აღიარება/ასახვა ბუღალტრულ აღრიცხვასა და ფინანსურ ანგარიშგებაში ხდება შემოსავლებზე უფლების მოპოვების მომენტში ან ხარჯების გაწევის ვალდებულების წარმოქმნის მომენტში, ფულადი თანხების მიღებისა და გადახდის მიუხედავად, ამასთან ექვემდებარება ამონაგების მიღების შესაძლებლობა და ხარჯების გაწევის აუცილებლობა“.

დასკვნა

მიგვაჩნია, რომ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებს ეწოდოს „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების

¹⁸ ბუღალტრული აღრიცხვის განმარტებითი ლექსიკონი აკად. ა. სილაგაძის საერთო რედაქციით, საგამომცემლო სახლი „სიახლე“, თბ., 2005წ, გვ.161

საერთაშორისო სტანდარტები“. ამასთან ერთად ლების აღიარება/ასახვა ბუღალტრულ აღრიცხვის მეთოდი“ უნდა გამოვიყენოთ მხოლოდ „შემოსავლებისა“ და „ხარჯების“ მიმართ ვასა და ფინანსურ ანგარიშგებაში ხდება შემოსავლებზე უფლების მოპოვების მომენტში ან ხარჯების გაწევის ვალდებულების წარმოქმნის მომენტში, ფულადი თანხების მიღებისა და გადახდის მიუხედავად, ამასთან ექვგარეშა ამონაგების მიღების შესაძლებლობა და ხარჯების გაწევის აუცილებლობა“.

ლიტერატურა

1. Grigalashvili, L. (2014). Georgia, Tbilisi: *Financial Accounting*, 275 p. (In Georgian);
2. Khorava, A. (2012). Accounting. Georgia, Tbilisi: *Meridiani*, 471p. (In Georgian);
3. Kharabadze, E. (2009). Financial Accounting. Georgia, Tbilisi: *Universal*, 149p. (In Georgian);
4. Failodze, N, Alania Dj, Lipartia Z, Kekenadze VI, Khutsishvili, O, (2008). Accounting, Tbilisi: *Technical University*, 28p. (in Georgian).
5. Internacional Accounting Standards. (2000). Georgia, Tbilisi: *GFPAA*, 21p. (in Georgian).
6. Internacional Reporting Standards (2005). Georgia, Tbilisi: Tergi XXI, 558p. (in Georgian).
7. <https://saras.gov.ge/ka/Ifirs/Pdf/542>, Conceptual Framework for finansial reporting, (in Georgian).
8. <https://saras.gov.ge/ka/Ifirs/Pdf/517>, IASs -1, (in Georgian).
9. <https://saras.gov.ge/ka/Ifirs/Pdf/517>, Conceptual Framework for finansial reporting, (in Georgian).
10. Accounting Terminology Guide, Publishing House “Siagle” Tb., 2005, 161p. (in Georgian).

UDC 657.1

SCOPUS CODE 1402

<https://doi.org/10.36073/1512-0996-2021-3-30-39>

Understanding the Essence of the Accrual Method According to the International Standards

Bidzina Grigalashvili Department of Business Administration, Georgian Technical University, Georgia, 0160,
Tbilisi, 77 M. Kostava str.
E-mail: grigalashvilibidzina@gmail.com

Reviewers:

N. Failodze, Professor, Faculty of Business Technology, GTU

E-mail: n.failodze@gtu.ge;

D. Jalagonia, Professor, Sukhumi State University

E-mail: Dato.jalagonia@gmail.com

Abstract. Assumption of international accounting standards was considerable event in the accounting practice of Georgia. One of the innovation was the introduction of "accounting policy" and establishment such an element in the compilation of financial statements as "accrual method". Mentioned method was not used in Soviet accounting. Based on his explanation, after the introduction of international standards, the definitions have undergone some changes.

The article analyzes the implemented changes, definitions, given in international standards and conceptual frameworks, outlook of various authors concerning subject matter and relevant conclusions drawn. Based on researches have been proven that, the "accrual method" should be used by the enterprise in recognizing / reflecting income and expenses and not in relation to assets and liabilities. Based on the reconciliation and analysis of different definitions, the author's designation of the "accrual method" is proposed.

Key words: accounting policy; accrual method; International financial reporting standards; International accounting standards.

UDC 657.1

SCOPUS CODE 1402

<https://doi.org/10.36073/1512-0996-2021-3-30-39>

К пониманию сущности метода начисления соответственно международным стандартам

Бидзина Департамент бизнес-администрирования, Грузинский технический университет,
Григалашвили Грузия, 0160, Тбилиси, ул. М. Костава, 77
E-mail: grigalashvilibidzina gmail.com

Рецензенты:

Н. Фаилодзе, профессор факультета бизнес-технологий ГТУ

E-mail: n.failodze@gtu.ge

Д. Джалагониа, профессор Сухумского государственного университета

E-mail: Dato.jalagonia@gmail.com

Аннотация. Введение международных стандартов бухгалтерского учета стало важным событием в бухгалтерской практике Грузии. Одним из новшеств стало введение "учетной политики" и её элемента - "метода начисления" при составлении финансовой отчётности. Данный метод не использовался в советском бухгалтерском учете. С момента введения международных стандартов бухгалтерского учета определения "Метода начисления" претерпели некоторые изменения.

В статье проанализированы внесённые изменения в международных стандартах и концептуальных основах, взгляды различных авторов по данному вопросу и сделаны соответствующие выводы. На основании исследования, утверждается, что предприятие должно использовать "метод начисления" - для признания/отражения доходов и расходов, а не активов и пассивов. На основе сравнения и анализа различных определений и взглядов предлагается авторское определение "метода начисления".

Ключевые слова: международные стандарты финансовой отчетности; международные стандарты бухгалтерского учета; метод начисления; учетная политика.

განხილვის თარიღი 24.02.2021

შემოსვლის თარიღი 12.03.2021

ხელმოწერილია დასაბეჭდად 29.09.2021

UDC 351.818

SCOPUS CODE 1706

<https://doi.org/10.36073/1512-0996-2021-3-40-46>

მონაცემთა წინასწარი დამუშავების პროცედურები სატელეფონო ცენტრში

რუსუდან ქუთათელაძე	ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტი, საქართველოს უნივერსიტეტი, საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას 75 E-mail: r. kutateladze@gtu.ge	ტექნიკური
ანა კობიაშვილი	ეკონომიკური ინფორმატიკის დეპარტამენტი, საქართველოს უნივერსიტეტი, საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას 75 E-mail: anakobia@hotmail.com	ტექნიკური
ნოდარ დარჩიაშვილი	ეკონომიკური ინფორმატიკის დეპარტამენტი, საქართველოს უნივერსიტეტი, საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას 75 E-mail: nodo619@gmail.com	ტექნიკური

რეცენზენტები:

ე. ბარათაშვილი, სტუ-ის ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის პროფესორი

E-mail: e.baratashvili@gtu.ge

მ. კიკნაძე, სტუ-ის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის პროფესორი

E-mail: m.kiknadze@gtu.ge

ანოტაცია. სტატიაში აღწერილია გადაუდებელი რეაგირების სამსახურის სატელეფონო ცენტრში დანერგილი ზარების მართვის ელექტრონული სისტემის მონაცემთა წინასწარი დამუშავების პროცედურები. პროცედურების მიზანია სისტემაში შემოსული ნედლი მონაცემების დამუშავება სტატისტიკური მონაცემების მისაღებად. აღნიშნული პროცედურები მონაცემების ნაკადის შემოსვლის პარალელურად ასრულებენ მონაცემთა გარდაქმნას და მათ შენახვას შემდგომი გამოყენებისათვის. აღნიშნული მეთოდის დანერგვის შედეგად სტატისტიკური მოთხოვნის მიღებისას საჭირო აღარაა პროცედურის ხელახლა შესრულება, რადგან მონაცემები უკვე შენახულია სასურველი ფორმით.

შედეგად მცირდება შესასრულებელი სამუშაოს ხანგრძლივობა და საჭირო აპარატული რესურსები.

სტატიაში გაანალიზებულია მონაცემთა წინასწარი დამუშავების მეთოდის უპირატესობები და ნაკლოვანებები. ასევე მოცემულია ელექტრონული სისტემის ერთ-ერთი ძირითადი სტატისტიკური მაჩვენებლის – დამუშავების საშუალო დროის გამოსათვლელად საჭირო პარამეტრები. ნაშრომში წარმოდგენილია ზარების დამუშავების საშუალო დროის გამოთვლის მაგალითის შესაბამისი ცხრილი. სტატიაში აგრეთვე ნაჩვენებია სრული პერიოდის დამუშავების დროის გამოსათვლელი ფორმულა, რომელიც მხოლოდ მარტივი ოპერაციების გამოყენებას ეფუძნება და არ მოითხოვს დიდ დროს და აპარატულ რესურსებს.

საკვანძო სიტყვები: სატელეფონო ცენტრი; ელექტრონული სისტემა; მონაცემები; მონაცემთა დამუშავება; პროცედურა, ალგორითმი.

შესავალი

ნებისმიერ ორგანიზაციასა და სამსახურს, რომელთა გამართული მუშაობაც დაკავშირებულია სატელეფონო ცენტრთან, უწევს ზრუნვა იმაზე, რომ სატელეფონო ცენტრის მუშაობა იყოს მაქსიმალურად საიმედო და ეფექტური, რისთვისაც უაღრესად მნიშვნელოვანია სატელეფონო ზარების შესახებ ინფორმაციის შენახვა, დახარისხება, ანალიზი და სასურველი სახით წარმოდგენა [1]. ეს მონაცემები მუშავდება გარკვეული ანალიტიკური ფორმულებისა და ალგორითმების საშუალებით, რის შედეგადაც ხდება ცენტრის მუშაობის შეფასება და მომავალი შესაძლო სიტუაციების პროგნოზირება.

მონაცემთა ანალიზისთვის აუცილებელია მონაცემთა ბაზაში არსებული ჩანაწერების წაკითხვა. როგორც წესი, მონაცემები საწყის მდგომარეობაში სასარგებლო ინფორმაციას არ გვაძლევს. ამიტომ საჭიროა მათი გარდაქმნა.

მონაცემთა გარდაქმნისათვის გამოიყენება სხვადასხვა ალგორითმი. ალგორითმის მუშაობის ხანგრძლივობა დამოკიდებულია მის სირთულეზე და ასევე მონაცემთა რაოდენობაზე. იმ შემთხვევაში, როცა ვასრულებთ რთულ ალგორითმს და მონაცემთა რაოდენობაც დიდია, იზრდება შესასრულებელი სამუშაოს ხანგრძლივობა, რაც დამატებით რესურსებს მოითხოვს და აფერხებს სამუშაო პროცესებს. აპარატული რესურსებით სარგებლობა კი პირდაპირაა დაკავშირებული ხარჯებთან.

ძირითადი ნაწილი

გადაუდებელი რეაგირების სატელეფონო ცენტრის მონაცემთა მოცულობა საკმაოდ დიდია. ცენტრი დღის განმავლობაში ათი ათასობით ზარს იღებს. მიღებული ზარების საფუძველზე იქმნება საქმეები, ხოლო შესაბამისი მონაცემები ორგანიზაციის მონაცემთა ბაზაში განთავსდება [2].

მონაცემთა წინასწარი დამუშავების მეთოდის დანერგვამდე გვექონდა პროცედურები, რომელთა შესრულებისას მუშავდებოდა სისტემაში შემოსული ნედლი მონაცემები და ამის შედეგად ვიღებდით სტატისტიკურ მონაცემებს. აღნიშნული მეთოდის ნაკლოვანებაა ის, რომ ერთი და იგივე სტატისტიკური მონაცემების რამდენიმე მომხმარებლის მიერ მოთხოვნისას პროცედურა სრულდებოდა თავიდან.

მოთხოვნილი სტატისტიკის მიღების დროის შესამცირებლად აუცილებელი გახდა მონაცემთა წინასწარი დამუშავების პროცედურების შექმნა. აღნიშნული პროცედურები მონაცემების ნაკადის შემოსვლის პარალელურად შეასრულებენ მონაცემთა გარდაქმნას და მათ შენახვას შემდგომი გამოყენებისათვის. აღნიშნული მეთოდის დანერგვის შედეგად სტატისტიკური მოთხოვნის მიღებისას საჭირო აღარაა პროცედურის ხელახლა შესრულება, რადგან მონაცემები უკვე შენახულია სასურველი ფორმით.

მეთოდის უპირატესობებია:

- სტატისტიკური მონაცემების მიღება ხდება ძალიან სწრაფად, რაც თავიდან გვაცილებს ანალიტიკური სამუშაოს შეფერხებას.
- სისტემას არ სჭირდება ერთი და იგივე პროცედურის განმეორებით შესრულება.

- ხდება აპარატული რესურსების ეფექტური გამოყენება.

მეთოდის ნაკლოვანებებია:

- იმ შემთხვევაში, თუ განსაზღვრული მონაცემების გამოყენების სიხშირე არის დაბალი ან ვიყენებთ ამ მონაცემების მცირე ნაწილს, აღნიშნული მეთოდი კარგავს ეფექტურობას, რადგან სისტემის მიერ წინასწარ გარდაქმნილი მონაცემების დიდი ნაწილი გამოუყენებელი რჩება.
- სტატისტიკის მიღების ალგორითმის ცვლილების შემთხვევაში საჭირო ხდება ყველა მონაცემის თავიდან დამუშავება, რადგან არსებული გარდაქმნილი მონაცემები მიღებულია ძველი ალგორითმის გამოყენებით.

მონაცემთა წინასწარ დამუშავების მეთოდის გამოყენება ყველაზე მეტად სასარგებლოა ისეთი ტიპის მონაცემებისთვის, რომლის დიდ ნაწილზეც ხშირად ხდება წვდომა [3]; ასევე იმ შემთხვევაში, თუ გვჭირდება დიდი დიაპაზონის მონაცემების ერთიანად დამუშავება. მაგალითად, თუ ერთი წლის მონაცემებისთვის შევასრულებთ პროცედურას, რომელიც რთულ ალგორითმს იყენებს, შეიძლება მისი შესრულება საათობით გაგრძელდეს. წინასწარ გარდაქმნილი მონაცემების მეშვეობით კი საჭირო იქნება მხოლოდ ამ მონაცემების შეკრება ან უარეს შემთხვევაში, მარტივი ალგორითმის გამოყენება, რომლის შესრულებაც მხოლოდ რამდენიმე წამი გაგრძელდება.

ისეთი მონაცემების წინასწარი გარდაქმნა, რომელთა მხოლოდ მცირე ნაწილს ვიყენებთ სტატისტიკის წარმოებისთვის, არ არის მიზანშეწო-

ნილი. ამ შემთხვევაში, წინასწარ დამუშავებთ ყველა მონაცემს, თუმცა მათი უმეტესობა გამოუყენებელი რჩება.

პროგრამის ერთ-ერთი სტატისტიკური მაჩვენებელი არის დამუშავების საშუალო დრო [4-7]. ამ მაჩვენებლის გამოთვლა ხდება შემდეგნაირად: გარკვეულ პერიოდში, სატელეფონო ცენტრის მიერ მიღებული ზარების ხანგრძლივობების ჯამს დამატებული იმ ოპერაციების ხანგრძლივობების ჯამი, რომლის შესრულებაც ოპერატორს ზარის დასრულების შემდეგ დასჭირდა. საბოლოოდ, ამ ორი კომპონენტის შეკრების შედეგად მიღებული მნიშვნელობა უნდა შევავარდოთ ამ პერიოდში შემოსული ზარების რაოდენობასთან. მიღებული რიცხვი აღინიშნება როგორც დამუშავების საშუალო დრო – AHT (Average Handle Time).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მაჩვენებლის საშუალოდ გვესაჭიროება სამი მნიშვნელობის ცოდნა: ზარების ჯამური ხანგრძლივობა, ზარების რაოდენობა და ზარის დასრულების შემდეგ შესრულებული ოპერაციების ხანგრძლივობების ჯამი. პირველი ორი კომპონენტის გამოთვლა სისტემისთვის არ არის სირთულე. დიდი მოცულობის მონაცემებისათვისაც ეს მაჩვენებლები რამდენიმე წამში გამოითვლება. მესამე კომპონენტის გამოთვლის პროცედურა არის გაცილებით მძიმე ოპერაცია. ერთი თვის მონაცემებისთვისაც კი ამ მნიშვნელობის გამოთვლას რამდენიმე წუთი სჭირდება და აპარატული დატვირთვაც მნიშვნელოვანია.

პრობლემის მოსაგვარებლად, ამ სამ კომპონენტს ვითვლით ყოველი საათისთვის. გამოთვლა ხდება მაშინვე, როგორც კი საკმარისი მონაცემები გვექნება. გამოთვლილ მნიშვნელობებს ვინახავთ

მონაცემთა ბაზაში და სტატისტიკის მოთხოვნისას ვსარგებლობთ ამ მონაცემებით.

აღნიშნული ცხრილი შედგება შემდეგი ველ-ბისგან:

HOURLY_OF_DAY – დროითი ტიპის ველი. გვიჩვენებს, თუ რომელი დღის რომელი საათის მონაცემებისაგან არის მიღებული მნიშვნელობები. მაგალითად, თუ სვეტის მნიშვნელობა არის „03-02-2020 02:00:00“, ეს ნიშნავს, რომ მიმდინარე სტრიქონი შეიცავს 3 თებერვლის 2 საათიდან 3 საათამდე პერიოდში გამოთვლილ მნიშვნელობებს.

CALLS_DURATION – რიცხვითი ტიპის ველი. გვიჩვენებს კონკრეტული საათის განმავლობაში შემოსული ზარების ხანგრძლივობების ჯამს წამებში.

CALLS_QUANTITY – რიცხვითი ტიპის ველი. გვიჩვენებს კონკრეტული საათის განმავლობაში შემოსული ზარების რაოდენობას.

AFTER_CALL_DURATION – რიცხვითი ტიპის ველი. გვიჩვენებს, კონკრეტული საათის განმავლობაში რა დროს ხარჯავდნენ ოპერატორები ზარის დასრულების შემდეგ შესასრულებელ ოპერაციებზე.

HANDLE_TIME – თითოეული საათისთვის წინასწარ გამოთვლილი დამუშავების საშუალო დრო. ეს მნიშვნელობა იმ შემთხვევაშია სასარგებლო, თუ უშუალოდ კონკრეტული საათისთვის გვჭირდება მნიშვნელობის გაგება, მაგალითად, სვეტოვანი დიაგრამის შედგენისთვის, რომელშიც თითოეული სვეტი დღის თითოეული საათია.

HOURLY_OF_DAY	CALLS_DURATION	CALLS_QUANTITY	AFTER_CALL_DURATION	HANDLE_TIME
03-JAN-20 12.00.00	26014	680	30513	83
03-JAN-20 13.00.00	20364	753	24500	60
03-JAN-20 14.00.00	19234	791	23031	53
03-JAN-20 15.00.00	23146	823	25456	59
03-JAN-20 16.00.00	26006	732	30897	78
03-JAN-20 17.00.00	28642	835	44234	87
03-JAN-20 18.00.00	27254	811	39456	82

იმ შემთხვევაში, თუ საჭიროა მნიშვნელობის გამოთვლა ერთ საათზე დიდი პერიოდისთვის, შევკრებთ ამ პერიოდის შემადგენელი საათების **CALLS_DURATION** და **AFTER_CALL_DURATION** მნიშვნელობებს და შევაფარდებთ ამავე საათების **CALLS_QUANTITY** მნიშვნელობების ჯამთან.

ცხრილში წარმოდგენილი მონაცემები აღნიშნავს 3 იანვრის 12 საათიდან 19 საათამდე მიღებული ზარების მონაცემების საფუძველზე გამოთვლილ მნიშვნელობებს თითოეული საათისათვის. ამ სრული პერიოდის დამუშავების საშუალო დროის გამოთვლელად გვჭირდება **CALLS_DURATION** და

AFTER_CALL_DURATION სვეტების ჯამის შეფარდება CALLS_QUENTIIY სვეტის მონაცემების ჯამთან:

$$\frac{26014 + \dots + 27254 + 30513 + \dots + 39456}{680 + 753 + 791 + 823 + 732 + 835 + 811}$$

შედეგად ვიღებთ 71.65843318 წამს. ეს მნიშვნელობა არის დამუშავების საშუალო ხანგრძლივობა 3 იანვრის 12 დან 19 საათამდე დროით შუალედში.

როგორც მაგალითიდან ჩანს, შედეგის მისაღებად ვიყენებთ მხოლოდ და მხოლოდ შეკრებისა და შეფარდების ოპერაციებს, რაც არ მოითხოვს დიდ დროს და აპარატულ რესურსებს.

დასკვნა

სტატიაში განხილული ფაქტებისა და კვლევის საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ სატელეფონო ცენტრის პროდუქტიულობის გაუმჯობესებისათვის საჭიროა: ანალიტიკური მონაცემების მონიტორინგი, მათი შეგროვება, ანალიზი

და მომხმარებლისთვის მოსახერხებელ ფორმაში წარმოდგენა. ეს მონაცემები ცენტრის მენეჯერებს საშუალებას აძლევს შეაფასონ ცენტრის მუშაობის ეფექტიანობა მიმდინარე მომენტში და გააკეთონ პროგნოზები ცენტრის მომავალი მუშაობის შესახებ; ასევე დაგეგმონ მისი ფუნქციონირების გაუმჯობესებისა და ეფექტიანობის ამაღლებისათვის საჭირო ღონისძიებები.

იმის გამო, რომ სისტემაში შემოსული ნედლი მონაცემების დამუშავების დრო კრიტიკულია და მისი შემცირება მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს ცენტრის მუშაობის ეფექტიანობას, მოთხოვნილი სტატისტიკის მიღების დროის შესამცირებლად საჭირო გახდა მონაცემთა წინასწარი დამუშავების პროცედურების შექმნა. აღნიშნული პროცედურების გამოყენებისას საჭირო აღარაა ყოველი მომხმარებლის მიერ განხორციელებული ზარის თავიდან დამუშავება და ბევრად შემცირდა ზარების დამუშავების დრო.

ლიტერატურა

1. Darchiashvili, N., Kobiashvili, A. (2020). System for Monitoring the Emergency Management Center. Georgia, Tbilisi: *Works of GTU*, 1(30), 54-61. (in Georgian);
2. Amster, A. (2021). Big Data and Customer Service: A Guide to Call Center Analytics. Retrieved from Qubole: <https://www.qubole.com/blog/call-center-analytics>
3. DevExtreme by DevExpress. Retrieved from DevExtreme: https://js.devexpress.com/Documentation/16_2
4. Windows Communication Foundation. (n.d.). Retrieved from Tutorialspoint: https://www.tutorialspoint.com/wcf/wcf_overview.htm
5. Sintes, T. (2002). App server, Web server: What's the difference? How do Web and application servers fit into the enterprise? Retrieved from InfoWorld: <https://www.infoworld.com/article/2077354/app-server-web-server-what-s-the-difference.html>
6. Javascript Programming Language Guide. (n.d.). Tbilisi, Georgia: Ivane Javakhishvili Tbilisi State University. Retrieved from: <http://fpv.science.tsu.ge/javascript.pdf> (In Georgian).

UDC 351.818

SCOPUS CODE 1706

<https://doi.org/10.36073/1512-0996-2021-3-40-46>

Data Pre-Processing Procedures at the Call Center

- Rusudan Kutateladze** Department of Business Administration, Georgian Technical University, Georgia, 0160, Tbilisi, 75 M. Kostava str.
E-mail: r.kutateladze@gtu.ge
- Ana Kobiashvili** Department of Economic Informatics, Georgian Technical University, Georgia, 0160, Tbilisi, 75 M. Kostava str.
E-mail: anakobia@hotmail.com
- Nodar Darchiashvili** Department of Economic Informatics, Georgian Technical University, Georgia, 0160, Tbilisi, 75 M. Kostava str.
E-mail: nodo619@gmail.com

Reviewers:

E. Baratashvili, Professor, Faculty of Business Technologies, GTU

E-mail: e.baratashvili@gtu.ge

M. Kiknadze, Professor, Faculty of Informatics and Control Systems, GTU

E-mail: m.kiknadze@gtu.ge

Abstract. The procedures for pre-processing the data of the electronic call management system is implemented in the emergency call center. The purpose of the procedures is to process the raw data entered into the system to obtain statistical data. These procedures, in parallel with data entry, allow data to be converted and stored for later use. Following the introduction of this method, when receiving a statistical request, it is no longer necessary to re-perform the procedure, because the data is already stored in the desired form. As a result, the duration of the work to be performed and the required hardware resources are reduced.

We analyze the advantages and disadvantages of the data pre-processing method. Also the parameters needed to calculate the average processing time – one of the most important statistical indicators of an electronic system – are given. The paper presents a table corresponding to the example of calculating the average time of call processing. It also shows a formula for calculating the full-time processing time, which is based on the use of simple operations only and does not require much time and hardware resources.

Key words: algorithm; call center; data; data processing; electronic system; procedure.

UDC 351.818

SCOPUS CODE 1706

<https://doi.org/10.36073/1512-0996-2021-3-40-46>

Процедуры предварительной обработки данных в колл-центре

Русудан Кутателадзе	Департамент бизнес-администрирования, Грузинский университет, Грузия, 0160, Тбилиси, ул. М. Костава, 77 E-mail: r.kutateladze@gtu.ge.	технический
Анна Кобиашвили	Департамент экономической информатики, Грузинский университет, Грузия, 0160, Тбилиси, ул. М. Костава, 77 E-mail: anakobia@hotmail.com	технический
Нодар Дарчиашвили	Департамент экономической информатики, Грузинский университет, Грузия, 0160, Тбилиси, ул. М. Костава, 77 E-mail: nodo619@gmail.com	технический

Рецензенты:

Е. Бараташвили, профессор факультета бизнес-технологий ГТУ

E-mail: e.baratashvili@gtu.ge

М.Кикнадзе, профессор факультета информатики и систем управления ГТУ

E-mail: m.kiknadze@gtu.ge

Аннотация. В колл-центре экстренного реагирования реализованы процедуры предварительной обработки данных системы электронного управления вызовами. Целью процедур является обработка введенных в систему необработанных данных для получения статистических данных. Эти процедуры, параллельно с вводом данных, позволяют преобразовывать и сохранять данные для последующего использования. После внедрения этого метода при получении статистического запроса больше нет необходимости повторно выполнять процедуру, поскольку данные уже сохранены в желаемой форме. В результате сокращаются продолжительность выполняемых работ и требуемые аппаратные ресурсы.

Мы анализируем преимущества и недостатки метода предварительной обработки данных. Также приведены параметры, необходимые для расчета среднего времени обработки, одного из наиболее важных статистических показателей электронной системы. В статье представлена таблица, соответствующая примеру расчета среднего времени обработки звонков. А также, приведена формула расчета времени обработки полного периода, которая основана только на использовании простых операций и не требует больших временных и аппаратных ресурсов.

Ключевые слова: алгоритм; данные; колл-центр; обработка данных; процедура; электронная система.

გაზიხილვის თარიღი 16.04.2021

შემოსვლის თარიღი 13.04.2021

ხელმოწერილია დასაბეჭდად 29.09.2021

UDC 550.8

SCOPUS CODE 1907

<https://doi.org/10.36073/1512-0996-2021-3-47-58>

მინერალური რესურსების მარაგების დასავლური და რუსული კლასიფიკაციების შედარებითი ანალიზი

ალექსანდრე თვალჭრელიძე კავკასიის ალექსანდრე თვალჭრელიძის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტი, ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო, 0186, თბილისი, მინდელის 11
E-mail: sandrotval@gmail.com

ნათია ჩომახიძე გამოყენებითი გეოლოგიის დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას 75
E-mail: chomakhidze.na@gmail.com

რეცენზენტები:

გ. მაღალაშვილი, სტუ-ის ი. ჟორდანიას სახელობის საქართველოს საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი ცენტრის მინერალური და ენერგეტიკული რესურსების განყოფილების გამგე, გეოლოგიურ-მინერალოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორ-ემერიტუსი

E-mail: maggeo31@gmail.com

დ. ბლუაშვილი, სტუ-ის სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი

E-mail: datoblu@yahoo.com

ანოტაცია. მიუხედავად იმისა, რომ საქართველომ ხელი მოაწერა ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებას, დღემდე არ განხორციელებულა საქართველოს სამთო-გეოლოგიური კანონმდებლობის სინქრონიზაცია ევროპულ სამთო კოდექსებთან. საქართველოს კანონი წიაღის შესახებ ძველი საბჭოთა კანონის კალკია მინიმალური ცვლილებებით. ამასთან, სამთო საქმეში კერძო ბიზნესის განვითარებას ხელს უშლის პირველ რიგში მიების ანგარიშგების, მარაგების კლასიფიკა-

ციისა და დამტკიცების მოძველებული სტანდარტები, რომელიც, ასევე, ძველი საბჭოთა სტანდარტების გადმონაშთია. სტატიაში დეტალურადაა განალიზებული რუსული და დასავლური მარაგების გამოთვლის კოდექსები და დამტკიცებულია, რომ საქართველოში სამთო საქმის განსავითარებლად დაუყოვნებლივ უნდა საკანონმდებლო დონეზე მიღებულ იქნეს დასავლური სტანდარტები, დაფუძნდეს კომპეტენტურ პირთა ეროვნული ინსტიტუტი. ეს კი არა მარტო ხელს შეუწყობს სამთო სფეროში კერძო ბიზნესის განვითარებას, არამედ ჩააყენებს

საქართველოს მინერალურ რესურსულ ფონდს ქვეყნის სამსახურში.

საკვანძო სიტყვები: მარაგები; რესურსები; მარაგების გამოთვლა; რუსული კოდექსი; CRIRSCO კოდექსი; JORC კოდექსი.

შესავალი

2016 წლის 1 ივლისიდან სრულად ძალაში შესული ევროკავშირისა და საქართველოს შორის ასოცირების შეთანხმების თანახმად, საქართველომ აიღო ვალდებულება თანდათანობით დაეახლოვებინა საქართველოს კანონმდებლობა ევროკავშირის კანონმდებლობასთან [1, გვ. 12]. ამ თვალსაზრისით, ყველაზე არასახარბიელო მდგომარეობაშია საქართველოს სამთო-გეოლოგიური კანონმდებლობა, რომელიც ეფუძნება მსოფმხედველურად მოძველებულ, საბჭოთა პრაქტიკაზე დაფუძნებულ კანონს წიაღის შესახებ. მრავალი მცდელობის მიუხედავად, ამ კანონის შესაბამისად, საქართველოში სამთო-გეოლოგიური საქმიანობის მართვის სტრუქტურის განახლება ვერ მოხერხდა.

საქართველოს კანონმდებლობის „შავი ხვრელები“ ზოგადად, გაანალიზებულია რამდენიმე პუბლიკაციაში [2, 3]. ამ წერილში ჩვენ შევხებით აღნიშნული კომპლექსური პრობლემის მხოლოდ ერთ, მაგრამ უმნიშვნელოვანეს ნაწილს: მინერალური რესურსების მარაგების დასავლურ და საქართველოში მიღებულ რუსული კლასიფიკაციების შედარებით ანალიზს.

ძირითადი ნაწილი

მსოფლიოში მინერალური რესურსების მარაგების დათვლის რამდენიმე კოდექსი არსებობს. მათ შორის უმთავრესია:

1. გაეროს ჩარჩო კლასიფიკაცია (United Nations Framework Classification for Resources), რომელსაც ერთობ ზოგადი ხასიათი აქვს [4];
 2. მარაგების საერთაშორისო ანგარიშგების სტანდარტების კომიტეტის გაერთიანებული კოდექსი (Combined Reserves International Reporting Standards Committee - CRIRSCO), რომელიც გამოიყენება, ძირითადად, აშშ-სა და კანადაში უმეტესწილად ნახშირწყალბადების, მაგრამ, აგრეთვე, მყარი ნედლეულის საბადოების მარაგების დასათვლელად [5];
 3. ავსტრალიის სამთო-მეტალურგიული ინსტიტუტის, ავსტრალიის გეომეცნიერებათა ინსტიტუტისა და ავსტრალიის მინერალთა საბჭოს ერთიანი მინერალური მარაგების კომიტეტის კოდექსი (The Joint Ore Reserves Committee of The Australian Institute of Mining and Metallurgy, Australian Institute of Geoscientists and Minerals Council of Australia (JORC Code), რომელიც მიღებულია მსოფლიოს ყველა ქვეყანაში [6];
 4. რუსული, მთლიანად საბჭოურ კლასიფიკაციაზე დაფუძნებული კლასიფიკაცია [7].
- გაეროს ჩარჩო კლასიფიკაცია შექმნილია სპეციალურად აფრიკის მინერალური რესურსებით მდიდარი ქვეყნებისთვის, სადაც საძიებო სამუშაოები პრაქტიკულად არ ჩატარებულა და მარაგების ანგარიშგება ფორმალური და შედარებითია.

CRIRSCO და JORC კოდექსები ერთიან პრინციპებს ეფუძნება და რადიკალურადაა განსხვავებული საბჭოური და შესაბამისად, რუსული კოდექსისგან, რასაც სიღრმისეული მიზეზები გააჩნია.

საბჭოთა კავშირში მინერალური რესურსები ყოველთვის განიხილებოდა, როგორც პოლიტიკურ-ეკონომიკური კატეგორია, რომელიც უზრუნველყოფდა რკინის ფარდის მიღმა დარჩენილი უზარმაზარი ქვეყნის რესურსულ, ეკონომიკურ და რაც მთავარია, სამხედრო უსაფრთხოებას. ანგლო-საქსური მიდგომის მიხედვით, მინერალური რესურსები არის უძრავი ქონების თავისებური ფორმა, რომელიც ექვემდებარება გლობალიზებული სამყაროს მართვის ინსტრუმენტებით კაპიტალიზაციასა და ყველა შესაბამისი ეკონომიკური მექანიზმის გამოყენებას [2]. საგულისხმოა, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, მიუხედავად მრავალი მცდელობისა [8 და სხვ.], არ მოხერხდა რუსული და დასავლური კლასიფიკაციების სინქრონიზაცია, რაც პრეზიდენტ პუტინის მიდგომამ განაპირობა: მისი თვალსაზრისით, რომელიც მან წინა საუკუნის დასასრულს შეიმუშავა, მინერალური რესურსები რუსეთის ეკონომიკური განვითარების საწინდარი უნდა გამხდარიყო [9]. მეტიც, როგორც ადრე აღინიშნა [10], ფილოსოფიურად და მსოფმხედველურად განსხვავებულია საერთო მიდგომა მინერალური რესურსებისა და მათი საბადოებისადმი, რის გამოც შექმნილია ცოდნის ორი, ერთმანეთთან ნაკლებ

კავშირში მყოფი, მიმართულება. მათი შედარებითი ანალიზი მოცემულია ცხრილში, რომელიც ერთ-ერთი თანაავტორის რამდენიმე პუბლიკაციის [2, 3, 10 და ხვ.] შეჯერების საფუძველზეა შექმნილი. ცხრილიდან აშკარად ჩანს, რომ მინერალური ნედლეულის შემსწავლელი მეცნიერებით დაწყებული და მარაგების დამტკიცების პრინციპით დამთავრებული, ერთი მხრივ, საბჭოთა კავშირში, რუსეთსა და პოსტსაბჭოთა ქვეყნებში, მათ შორის - საქართველოშიც, ხოლო მეორე მხრივ, გაერთიანებულ სამეფოში, აშშ-ში, კანადაში, ავსტრალიაში, სამხრეთ აფრიკაში და სხვა მინერალური ნედლეულით მდიდარ დასავლურ ქვეყნებში ვითარდებოდა ცოდნის დამოუკიდებელი დარგები.

თუ შევადარებთ, მაგალითად, მინერალური საბადოების გეოლოგიის ყველაზე ცნობილ სახელმძღვანელოებს, ადვილად დავინახავთ ამ ფუნქციონირებას განსხვავებას. ჯერ კიდევ ვალდემარ ლინდგრენით დაწყებული [11], დასავლეთის ქვეყნებში მინერალური საბადოების ყველა სახელმძღვანელო ეფუძნებოდა *სხვადასხვა ეკონომიკური ტიპის კლასიკური საბადოების ფუნდამენტურ აღწერას* [12, 13 და სხვ.]. საბჭოთა სახელმძღვანელოები კი, აკადემიკოს ვლადიმერ სმირნოვის ინიციატივით [14], ეძღვნებოდა *საბადოთა გენეტიკურ მრავალფეროვნებასა და მათი წარმოქმნის პირობების კვლევას*.

მინერალური ნედლეულისადმი საბჭოთა და ანგლო-საქსური მიდგომების შედარებითი ანალიზი

კრიტერიუმი	საბჭოთა (რუსული) მოდელი	ანგლო-საქსური მოდელი
მეცნიერება	სასარგებლო წიაღისეულის გეოლოგია	ეკონომიკური გეოლოგია
კვლევის საგანი	სასარგებლო წიაღისეული	მინერალური რესურსი
საბადოთა შეფასების პრინციპი	გეოლოგიური	ეკონომიკური
მარაგების გამოთვლის პრინციპი	გეოლოგიურ-ეკონომიკური კონდიციები	საბადოს სივრცითი გეოლოგიურ-ეკონომიკური მოდელი
მარაგების დამტკიცების პრინციპი	მარაგების სახელმწიფო კომისია	კომპეტენტური პირის ანგარიში

საბჭოთა გეოლოგიური სკოლისთვის საბადო წარმოადგენდა გეოლოგიურ სხეულს, რომელსაც შემცველ ფორმაციებთან მკვეთრი საზღვარი ჰქონდა. ანგლო-საქსური გეოლოგიური სკოლისთვის კი საბადო იყო დედამიწის ქერქის ის მონაკვეთი, რომელიც სასარგებლო კომპონენტის ანომალური შემცველობით ხასიათდებოდა. ამიტომ საბჭოთა გეოლოგები საბადოს აფასებდნენ გეოლოგიური კრიტერიუმებით იმ ფარგლებში, სადაც დაცული იყო გეოლოგიური სხეულის მთლიანობა. დასავლელი გეოლოგებისთვის შეფასების ძირითადი კრიტერიუმი დასინჯვის შედეგები იყო და საბადო ისაზღვრებოდა გეოლოგიურ არეში სასარგებლო კომპონენტის ანომალური შემცველობების განაწილების საფუძველზე, გეოლოგიური სხეულის საზღვრების სივრცევი გავრცელების მიუხედავად.


ვინაიდან, საბჭოთა გეოლოგიაში საბადო განცალკევებულ სხეულს წარმოადგენდა, მასში მარაგების დასათვლელად შესაბამისი კრიტერიუმები დაინერგა. ამ კრიტერიუმებს გეოლოგიურ-ეკონომიკური კონდიციები ეწოდა. ამ კონდიციებიდან უმნიშვნელოვანესია სასარგებლო კომპონენტის მინიმალური შემცველობა, მადნეული სხეულის მინიმალური სიმძლავრე და მადნეულ სხეულში ფუჭი ქანების მაქსიმალური სიმძლავრე. ამ კრიტერიუმებს განმარტებით ტექნიკური ხასიათი აქვს და ძირითადად ეფუძნება ტექნოლოგიურ შესაძლებლობებს და არა ეკონომიკურ მახასიათებლებს. ამის ნათელი მაგალითია საბჭოთა კავშირში (და თანამედროვე რუსეთი) ე.წ. გეგმურად წამგებიანი საწარმოების (планово-убыточные предприятия) არსებობა [15, 16]. საქართველოში ასეთ საწარმოებს, სხვასთან ერთად, ქვაისის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატი მიეკუთვნებოდა [10]. ამ გარემოებებიდან გამომდინარე, ვინაიდან გეოლოგიურ-ეკონომიკურ კონდიციებს მკვეთრად გამოხატული ეკონომიკური არსი არ გააჩნდა, აუცილებელი გახდა სახელმწიფო დონეზე კონდიციების დამტკიცება და საბადოზე გამოთვლილი მარაგების კონდიციებთან შესაბამისობის ანალიზი, რისთვისაც შეიქმნა მარა-

მიკური კონდიციები ეწოდა. ამ კონდიციებიდან უმნიშვნელოვანესია სასარგებლო კომპონენტის მინიმალური შემცველობა, მადნეული სხეულის მინიმალური სიმძლავრე და მადნეულ სხეულში ფუჭი ქანების მაქსიმალური სიმძლავრე. ამ კრიტერიუმებს განმარტებით ტექნიკური ხასიათი აქვს და ძირითადად ეფუძნება ტექნოლოგიურ შესაძლებლობებს და არა ეკონომიკურ მახასიათებლებს. ამის ნათელი მაგალითია საბჭოთა კავშირში (და თანამედროვე რუსეთი) ე.წ. გეგმურად წამგებიანი საწარმოების (планово-убыточные предприятия) არსებობა [15, 16]. საქართველოში ასეთ საწარმოებს, სხვასთან ერთად, ქვაისის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატი მიეკუთვნებოდა [10]. ამ გარემოებებიდან გამომდინარე, ვინაიდან გეოლოგიურ-ეკონომიკურ კონდიციებს მკვეთრად გამოხატული ეკონომიკური არსი არ გააჩნდა, აუცილებელი გახდა სახელმწიფო დონეზე კონდიციების დამტკიცება და საბადოზე გამოთვლილი მარაგების კონდიციებთან შესაბამისობის ანალიზი, რისთვისაც შეიქმნა მარა-


გების სახელმწიფო კომისია, რომელიც სახელმწიფო დონეზე ყველა საბადოს მარაგს ამტკიცებდა.

გეოლოგიურ-ეკონომიკურ კონდიციებს უზარმაზარი გავლენა ჰქონდა საბადოს მარაგების ოდენობაზე, რაც ნათლად ჩანს 1-ელ სურ-ზე: რაც უფრო დაბალია კონდიციები, მით მაღალია გამოთვლილი მარაგების ოდენობა, ვინაიდან მკვეთრად მატუ-

ლობს მადნების მოცულობა. აქედან მეტად საინტერესო პარადოქსი გამომდინარეობს. მე-2 სურ-ზე ასახულია ოქროს მსოფლიო სამთო წარმოების ისტორია და მოქმედ მაღაროებში ლითონის საშუალო შემცველობა. დიაგრამა შედგენილია უზარმაზარი სტატისტიკური მასალის განზოგადების საფუძველზე [3, 10, 17, 18 და სხვ.].



სურ. 1. მინიმალური შემცველობის გავლენა გამოთვლილი მარაგების ოდენობაზე



სურ. 2. ოქროს მსოფლიო სამთო მოპოვება და მოქმედ მაღაროებში მისი საშუალო შემცველობა

სურათზე აშკარად ჩანს, რომ ოქროს მსოფლიო სამთო მოპოვების ფონზე მოქმედ მადარობებში მისი საშუალო შემცველობა კანონზომიერად მცირდება. სხვა სიტყვებით, ამ კანონზომიერების საფუძველზე, ყოველგვარი დამატებითი ძიებითი სამუშაოების ჩატარების გარეშე, მხოლოდ შემაჯამებელი ანგარიშების ანალიზის შედეგად [15] შესაძლებელი ხდებოდა საბადოებში მარაგების ზრდა.

ვინაიდან მარაგებს საბჭოთა კავშირში ნორმატიული ხასიათი ჰქონდა და ეს სიტუაცია ძალაში დღესაც რუსეთსა და საუბედოროდ, საქართველოშიც, აუცილებელი გახდა ქვეყნის სხვადასხვა სახის მინერალური ნედლეულის მარაგების ბალანსის შექმნა და მისი ყოველწლიური განახლება ნორმატიული აქტის სახით.

საბჭოთა, იგივე რუსულ კოდექსში მარაგად ითვლება წიაღში არსებული სასარგებლო კომპონენტის ოდენობა, რომლის ამოღება შესაძლებელია დღეს არსებული ტექნოლოგიით ან ტექნოლოგიით, რომელიც ახლო მომავალში გახდება ხელმისაწვდომი [10]. სანდოობის მიხედვით, მარაგები დაყოფილია ბალანსურ (ანუ სახელმწიფო ბალანსში რეგისტრირებულ) A, B, C₁ და C₂ კატეგორიებად. ამ კატეგორიების ფარგლებს გარეთ არსებული სასარგებლო კომპონენტის ოდენობა ძიების სანდოობის მიხედვით მიეკუთვნება ან ბალანსგარე მარაგებს, ან პროგნოზულ რესურსებს. ამასთან, საბადოები მათი გეოლოგიური აგებულების მიხედვით, დაყოფილია ოთხ ჯგუფად და კოდექსში ნორმატიულად გაწერილია, რომელი ჯგუფისთვის რა კატეგორიის მარაგების გამოთვლაა დასაშვები [7].

მარაგების დათვლის ასეთი სისტემის არაეფექ-

ტურობა ლაპიდარული სიცხადით გამოვლინდა, როცა ამუშავდა საბადოთა ლიცენზირების სისტემა და სამთო საქმე კერძოდ, მათ შორის უცხოური, კომპანიებისთვის გახდა ხელმისაწვდომი. პირველი, სახელმწიფოს მიერ მარაგების გამოთვლის ხისტი რეგლამენტირება ქმნის აშკარა ინტერესთა კონფლიქტს, ვინაიდან ნებისმიერი სალიცენზიო აუქციონის საწყისი ფასი დამოკიდებულია საბადოს მარაგებზე და სახელმწიფოს სულაც არ აინტერესებს, ამ მარაგების მოპოვება რამდენად რენტაბელურია ან სულაც ტექნიკურად შესაძლებელი. აქედან გამომდინარეობს მეორე გარემოებაც, რომ ამ მეთოდიკით გამოთვლილი მარაგები გამოუდგებარია საერთაშორისო საბანკო ინსტიტუტებში კრედიტის მისაღებად ან საერთაშორისო კაპიტალურ ბაზრებზე კომპანიების აქციების ემისიისთვის [3]. საქმე იქამდეც მივიდა, რომ მძლავრი რუსული და ნაწილობრივ, ქართული კომპანიები იძულებულია გამოთვალოს მარაგები ორივე, რუსული და დასავლური, კოდექსებით [იხ., მაგალითად, 19].

CRIRSCO, JORC და მარაგების გამოთვლის სხვა დასავლურ კოდექსებში უმთავრესი ყურადღება ექცევა ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილებას. სამთო კომპანიის მიერ დათვლილი მარაგები ვერ გამოდგება საერთაშორისო რესურსული აუდიტისთვის. მარაგებს ითვლის ობიექტური, მიუკერძოებელი ე.წ. კომპეტენტური პირი. განმარტებით, კომპეტენტური პირი არის დიდი გამოცდილების მქონე პიროვნება ან საკონსალტინგო კომპანია, რომელიც რეგისტრირებულია, ან მინერალური მარაგებისა და საერთაშორისო ანგარიშგების სტანდარტების კომიტეტის (CRIRSCO კოდექსი), ან

ავსტრალიის სამთო-მეტალურგიული და გეომინერებათა ინსტიტუტების ერთობლივი საბჭოს (JORC კოდექსი) მიერ. გამოთვლილ მარაგებზე კომპეტენტური პირის ხელმოწერა საკმარისია საერთაშორისო საბანკო ინსტიტუტებისა და საფონდო ბირჟებისთვის. განმარტებით, კომპეტენტური პირი ეწევა მხოლოდ საკონსალტინგო საქმიანობას და მას არა აქვს უფლება პირდაპირ ან არაპირდაპირ მიიღოს მონაწილეობა სამთო საქმიანობაში.


როგორც CRIRSCO, ასევე JORC კოდექსები ერთმანეთისგან მკვეთრად ასხვავებს წიაღში არსებულ რესურსებს დაგეგმილი მალაროს ფარგლებში განლაგებული ამოკრეფადი მარაგებისგან. მარტივად, რესურსების და შემდგომში მარაგების გამოსათვლელად საბადოს მთლიანი მოცულობა იკვრება ერთიან კარკასში, რომელიც იყოფა ელემენტარულ ბლოკებად. ბლოკებში ითვლება სასარგებლო კომპონენტის შემცველობა და ოდენობა. პროდუქტიული და არაპროდუქტიული (outlier) ბლოკების ერთმანეთისგან განსასხვავებლად გამოიყენება ე.წ. ზღვრული შემცველობა (cutoff grade), რომლის დასადგენად ურთულესი გეოსტატისტიკური აპარატია შექმნილი. რესურსების გამოთვლის შემდეგ, სამგანზომილებიან სივრცეში იგეგმება მალარო, რომლის ფარგლებში ითვლება სასარგებლო კომპონენტის მარაგები გადარიბების, სამრეწველო დანაკარგებისა და ამოკრეფის კოეფიციენტების გათვალისწინებით. მე-3 სურ-ზე მოყვანილია ამ სტატისტიკის თანავეტორის მიერ ოქროს ერთ-ერთ სა-

ბადოზე რესურსებისა და მარაგების დათვლის ტექნოლოგია.

სანდოობის მიხედვით, CRIRSCO და JORC კოდექსებში რესურსები იყოფა გაზომილ (measured), მითითებულ (indicated) და სავარაუდო (inferred) რესურსებად.

უკვე ჩვენი საუკუნის დასაწყისიდან დაიწყო ინტენსიური კვლევები რუსული და დასავლური კოდექსების სინქრონიზაციის მისაღწევად. საბოლოო ჯამში, რუსეთის წიაღის ექსპერტიზის ეროვნულმა ასოციაციამ (Национальная ассоциация по экспертизе недр – НАЭФН) მარაგების საერთაშორისო ანგარიშების სტანდარტების კომიტეტთან ერთად შეიმუშავა მყარი მინერალური რესურსების საჯარო ანგარიშების რუსეთის ახალი კოდექსი [20], რომელიც, მართალია, არ არის რუსეთის ფედერაციის ნორმატიული აქტი, მაგრამ შესაძლებელს ხდის განხორციელებს რუსული კოდექსით გამოთვლილი მარაგების კონვერტაცია CRIRSCO-ს კოდექსის რესურსებში. ამის შემდეგ, ადვილი გახდა კონვერტაცია JORC კოდექსშიც [21]. მე-4 სურ-ზე აღწერს ასეთი კონვერტაციის ძირითად არსს.

მიუხედავად რუსეთის, აშშ-ს, კანადის, ავსტრალიის და სხვა ქვეყნების წამყვანი ექსპერტების, მათ შორის – რუსეთის ფედერაციის მარაგების სახელმწიფო კომისიის, გაერთიანებული საშური ძალისხმევისა, რუსეთში მაინც არ შეცვლილა მარაგების დამტკიცების პროცედურა, რაც ინვესტორებში პესიმიზმს ბადებს.




სურ. 3. მადნის რესურსები და მარაგები ოქროს საბადოს ოპტიმიზებულ კარიერზე

საქართველოში ასეთი სამუშაოები არამც თუ არ შესრულებულა, არამედ დაგეგმილიც არ არის. ამასთან, მარაგების დათვლისა და ძიების შედეგების ანგარიშგების საერთაშორისო კოდექსები დაუყონებლივ უნდა დაინერგოს ჩვენს ქვეყანაში, ვინაიდან ეს შესაძლებლობას მოგვცემს:

1. განხორციელდეს საქართველოს სამთო-გეოლოგიური კანონმდებლობის სინქრონიზაცია ევროკავშირის კანონმდებლობასთან;
2. შეიქმნას კომპეტენტურ პირთა ეროვნული ინსტიტუტი;
3. ქართულმა კომპანიებმა თავისი აქტივების კაპიტალიზაცია განახორციელონ საქართველოში;
4. საქართველოში განვითარდეს საფონდო ბირჟა და დაფუძნდეს სანედლეულო ბირჟა, რაც ხელს შეუწყობს არა მარტო კერძო ბიზნესის განვითარებას, არამედ მინერალურ რესურსულ ფონდს ჩააყენებს ქვეყნის სამსახურში.

დასკვნა

მიუხედავად იმისა, რომ საქართველომ ხელი მოაწერა ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებას, დღემდე არ განხორციელებულა საქართველოს სამთო-გეოლოგიური კანონმდებლობის სინქრონიზაცია ევროპულ სამთო კოდექსებთან.



სურ. 4. დასავლური და რუსული მარაგების კოდექსების სინქრონიზაციის მეთოდოლოგია

ძიების შედეგების ანგარიშებისა და მარაგების გამოთვლის CRIRSCO, JORC და რუსული კოდექსების დეტალურმა შედარებითმა ანალიზმა ცხადყო, რომ საქართველოში დაუყონებლივ უნდა განხორციელდეს:

1. CRIRSCO და JORC კოდექსების საკანონმდებლო დონეზე აღიარება;
2. ეროვნული კომპეტენტურ პირთა ინსტიტუტის შექმნა;

3. მარაგების სახელმწიფო კომისიის გაუქმება და მარაგების დამტკიცების სრულად ახლებური სისტემის ჩამოყალიბება.

მხოლოდ ასეთი ქმედებები შექმნის სივრცეს საქართველოში საფონდო ბირჟის განსავითარებლად და სანედლეულო ბირჟის დასაფუძნებლად, რაც ხელს შეუწყობს არა მარტო კერძო ბიზნესის განვითარებას, არამედ მინერალურ რესურსულ ფონდს ჩააყენებს ქვეყნის სამსახურში.

ლიტერატურა

1. Association Agreement between the European Union and the European Atomic Energy Community, on the one hand, and their Member States, on the other, and Georgia. (2014). *Tbilisi: Parliament of Georgia*. (In Georgian.);
2. Tvalchrelidze, A., Silagadze, A., Keshelashvili, G., Gegia, D. (2011). Georgian Socio-Economic Development Program. Georgia, Tbilisi: *Neker*. (In Georgian.);
3. Tvalchrelidze, A. (2012). Commodities and information: black holes in information shearing system. In Kervalishvili, P. & Michailidis, S. (Eds.), Amsterdam-Berlin-Tokyo-Washington, DC: AOS Press, *Philosophy and Synergy of Information: Sustainability and Security*, 144-153. (In English);
4. United Nations Framework Classification for Resources Update (ECE ENERGY SERIES No. 61). (2019). Retrieved from: <https://unece.org/sustainable-energy/publications/united-nations-framework-classification-resources-update-2019-ece>. (In English);
5. International reporting template for public reporting of exploration results, mineral resources, and mineral reserves. (2019). *Committee for Mineral Reserves and International Reporting Standards (CRIRSCO) and International Council for Mining & Metals*. (In English);
6. The JORC Code. (2012.) Australia, Crows Nest, NSW: *Australian Institute of Geoscientists and Minerals Council of Australia*. (In English);
7. Calculation of reserves of solid minerals. (2012). Russia, Perm: *Perm National Research Polytechnic University Publishing House*. (In Russian);
8. Poluektov, V. N., Larichkin, V.A., Fedin, A.D. (2002). Mineral resources estimation and accounting systems. Moscow: *Geoinformcenter*. (In Russian);
9. Putin, V.V. (1999). Mineral resources in the development strategy of the Russian Federation. *Notes of the Mining Institute*, (144), 3-17. (In Russian);
10. Tvalchrelidze, A. G. Mineral resources and mineral resource base of Georgia. Moscow, Publishing House of Ores and Metals, 2006 (In Russian);
11. Lindgren W. Mineral deposits. 2nd Edition, New York, McGraw Hill Book Co., 1919.

12. Emmons, W. H. The principles of economic geology. New York, McGraw Hill Book Co., 1940.
13. Park, C.A., MacDiarmid, R. A. (1964). Ore deposits. San Francisco: *W. H. Freeman and Co.*
14. Smirnov, V.I. (1982). Geology of minerals. Moscow: *Nedra Publishing House*. (In Russian);
15. Barnolts, S.B. (1959). Basics of analyzing summary reports. Moscow: *All-Union Correspondence Financial Institute*. (In Russian);
16. Ryakhovskaya, A. N. (2012). Sustainable operation and development of enterprises: basic mechanisms, principles, evaluation criteria. Strategic decisions and risk management. Moscow: *Effective crisis management*. 2 (71), 58-65. (In Russian)
17. Butterman, W.C., Amey, III E.B. (2005). Mineral commodity profiles—gold. U.S., Reston: *Geological Survey*.
18. GFMS gold survey 2019. (2020). London: *REFINITIV*.
19. Building momentum for growth. PJSC Polyus Annual Report 2019. Moscow, Polyus Gold, 2020.
20. Russian Code for Public Reporting on Exploration Results, Mineral Resources and Mineral Reserves (NAEN Code). (2011). (In Russian)
21. Fahey, G. (2018). International reporting codes: Mineral resources and ore reserves. How the JORC Code, NI43-101 & other codes work. Australia, Perth: *CSA Consulting*.

UDC 550.8

SCOPUS CODE 1907

<https://doi.org/10.36073/1512-0996-2021-3-47-58>

Comparative Analysis of Western and Russian Mineral Reserve Classifications

Alexander

Tvalchrelidze

Alexander Tvalchrelidze Caucasus Institute of Mineral Resources, Ivane Javakhishvili
Tbilisi State University, Georgia, 0186 Tbilisi, 11 E. Mindeli str.

E-mail: sandrotval@gmail.com

Natia Chomakidze

Address. Department of Applied Geology, Georgian Technical University, Georgia, 0160
Tbilisi, 75 Kostava str.

E-mail: chomakhidze.na@gmail.com

Reviewers:

G. Magalashvili, Professor Emeritus, Doctor of Geological and Mineralogical Sciences, Head of the Department of Mineral and Energy Resources of the Center for the Study of Industrial Forces and Natural Resources named after I. Zhordania, GTU

E-mail: maggeo31@gmail.com

D. Bluashvili, Associate Professor, Faculty of Mining and Geology, GTU

E-mail: datoblu@yahoo.com

Abstract. Despite that Georgia has signed an Association Agreement with the European Union, by today its geological-mining legislation has not been synchronized with European mining codes. Georgian Law on Earth's Interior is a calque of the obsolete Soviet law with minimum updates. At the same time, development of the private mining business is hampered by olden standards of exploration reporting and estimation and approval of reserves, which also are vestiges of olden Soviet standards. The article analyses in-depth the Russian and the Western reserve reporting codes and proves that development of mining industry in Georgia calls for immediate legislative approval of the Western standards and foundation of the Competent Persons' institute. Such actions will not only promote development of private mining businesses but harness the Georgian mineral resource fund to the betterment of the country.

Key words: CRIRSCO Code; JORC Code; reserves; resources; reserve estimation; Russian code.

UDC 550.8

SCOPUS CODE 1907

<https://doi.org/10.36073/1512-0996-2021-3-47-58>

Сравнительный анализ российской и западной классификаций запасов минеральных ресурсов

Александр Твалчрелидзе	Кавказский институт минерального сырья им. Александра Твалчрелидзе, Тбилисский государственный университет им. Иванэ Джавахишвили, Грузия, 0186, Тбилиси, ул. Миндели 11 E-mail: sandrotval@gmail.com
Натия Чомахидзе	Департамент прикладной геологии, Грузинский технический университет, Грузия, 0160 Тбилиси, ул. М. Костава 75 E-mail: chomakhidze.na@gmail.com

Рецензенты:

Г. Магалашвили, профессор-эмеритус, доктор геолого-минералогических наук, заведующий отделом минеральных и энергетических ресурсов центра изучения промышленных сил и природных ресурсов им. И. Жордания ГТУ

E-mail: maggeo31@gmail.com

Д. Блуашвили, ассоциированный профессор горно-геологического факультета ГТУ

E-mail: datoblu@yahoo.com

Аннотация. Несмотря на то, что Грузия подписала Договор об ассоциировании с Евросоюзом, до сегодняшнего дня не произведено синхронизации грузинского горно-геологического законодательства с европейскими горными кодексами. Грузинский Закон о недрах является калькой с минимальными изменениями советского закона. Вместе с тем, развитию частного горнорудного бизнеса мешают, в первую очередь, устаревшие стандарты отчетности разведочных работ, а также классификации и утверждения запасов, которые также являются пережитком старых советских стандартов. В статье детально проанализированы западные и русские кодексы подсчета запасов и доказано, что для развития горнорудного дела в Грузии необходимо незамедлительно принять на законодательном уровне западные стандарты, учредить национальный институт компетентных лиц. Это не только послужит развитию частного горнорудного бизнеса, но и поставит ресурсный фонд Грузии на службу стране.

Ключевые слова: запасы; кодекс CRIRSCO; кодекс JORC; подсчет запасов; ресурсы; российский кодекс.

განხილვის თარიღი 15.03.2021

შემოსვლის თარიღი 26.03.2021

ხელმოწერილია დასაბეჭდად 29.09.2021

UDC 620.9

SCOPUS CODE 2101

<https://doi.org/10.36073/1512-0996-2021-3-59-68>

Criteria for Estimating Greenhouse Gas Emissions from Transport

Maka Jishkariani

Department of Electric Energy and Electro Mechanics, Georgian Technical University, Georgia, 0160, Tbilisi, 75 M. Kostava str.

Reviewers:

N. Samsonia, Professor, Faculty of Energy and Telecommunications, GTU

E-mail: n.samsonia@gtu.ge

K. Vezirishvili-Nozadze, Professor, Faculty of Energy and Telecommunications, GTU

E-mail: k.vezirishvili-nozadze@gtu.ge

Abstract. At the present stage, economic research on climate change and its main problem requires in-depth scientific study and analysis of various factors. An important source of air pollution is the energy sector, especially solid and liquid fuels used for technological purposes in thermal power plants. In Georgia, 1/5 of the total electricity generated is produced in thermal power plants. The article analyses Greenhouse gas emissions in Georgia by sectors and sub-sectors as well the criteria for estimating fuel combustion, such as net calorific value of fuel and carbon content standard indicators. The formula for calculation of CO₂, CH₄ and N₂O emissions from the transport vehicles is developed in this work.

Key words: fuel combustion; greenhouse gases; power engineering; transport.

Introduction

At the present stage, economic research on climate change and its main problem requires in-depth scientific study and analysis of various factors, without which it is

impossible to properly understand the essence of economic events, identify key factors, identify development trends and ways of their further improvement. An important source of air pollution is the energy sector, especially, solid and liquid fuels used for technological purposes in thermal power plants. In Georgia, 1/5 of all generated electricity is produced at thermal power plants (TPP), while the cooling reservoir causes thermal pollution of the river. The products of industrial production in today's world provide many greenhouse gases, such as metals, chemical production and use, cement production and many other. [1]. Traffic jams and exhaust on top of cities are notable. Arguably the most visible source of emissions comes from transport. These are: aviation, rail and road transport. The share of electric and hybrid cars in Georgia is growing, but not enough. Processes such as volatile emissions are important. Before the fuel burns, it already emits emissions into the atmosphere, such as emissions from oil refining products and methane leaks, which are serious and difficult issues to address [2].

Main part

Greenhouse gas emissions in Georgia by sectors and

sub-sectors show that the energy sector, including the transport sub-sector, occupies the first place with 57% or almost 60%. In the second place are industrial

production processes with 18% and in the third place is agriculture with 17% in 2019 (table 1).

Table 1

Greenhouse gas emissions in Georgia by sectors and sub-sectors

1	Energy (including Transport sub sector)	57
2	Industrial Processes	18
3	Solvents and other products Consumption	4
4	Rural industry	17
5	Land use and forestry	3
6	Waste	1
7	Other	0.0001
	Percent, sum	100

The energy sector considers fuel combustion in the energy industry, transport, manufacturing and building materials, as well as in segments such as commercial, public, household and public facilities, agriculture, fisheries and forestry [3]. In the same sector, volatile

emissions from solid, liquid and gaseous fuels are considered. Analysis show that GHG emissions among energy sector, the largest share comes from the transport subsector 33% in Georgia in 2019 (table 2).

Table 2

Greenhouse gas emissions in the energy sector of Georgia

Fuel Combustion		
1	Energy Industry (Electricity and Heat Generation)	10
2	Processing Industry and Construction Materials Industry	21
3	Transport	33
4	Other Sectors (trade/ household/rural industry/fishing/forestry)	15,7
Volatile Emissions from Fuel		
1	Solid Fuel	1,1
2	Oil and Natural Gas	19,2
	Percent, sum	100

Because the contribution of transport to climate change is significant, we examined the quantities of passenger cars, buses, minibuses, agricultural and freight

vehicles (figure 1), and passenger and cargo turnover statistics to determine their impact on the final rate, or greenhouse gas emissions [4].



Figure 1. Transport Network in Georgia

The passenger turnover rate for 2019 includes total data on road, rail, river, sea and air transport [5]. The growth trend of this indicator is mainly due to the increase in passenger traffic, for example, in 2019, almost 80% of passengers traveled by road (using non-ecological fuel), which has a negative impact on climate change. If we analyze the percentage distribution of vehicles in Georgia in 2019, the largest share comes from cars, from which electric cars are only 4-5%. The freight rate for 2019 includes aggregate road, rail, river, sea and air transport data [6]. The downward trend in this indicator is mainly due to the decrease in rail shipments [7]. It should be noted that rail transport accounts for the largest share in terms of freight transport, for example, in 2019, 78% of cargo turnover was accounted by rail transport. One way to reduce greenhouse gases from transport is to use biofuels as fuel [8]. The most common types of bio fuels are biodiesel and bioethanol. Biodiesel creation process takes place in the device, where crops [9], like rape and sunflower are high pressure conditions and will be received combined food, in the inner tank squeezed oil from the reservoir is transferred to the device in the second section, where added oxide, then this mixture goes in generator, where in conditions of high pressure and high temperature is occurred biochemical reaction and about half an hour being taken biodiesel, which can be used in any diesel engine [10].

Bioethanol is made from corn or sugar cane, or from high concentration sugar or starch products such as beet, potato, Manioc. Ethanol is substance, which is received by the fermentation, and it usually interferes with gasoline to increase octane level [11] Increase the fuel octane level which is necessary to improve the combustion process, until recently used very high toxic substance. Thus, bioethanol as well as a carbon neutral fuel, is considered more environmentally acceptable alternative [12]. Biofuel use in the transport sector must be executed by the methodology approved by the Executive Board of the Clean Development Mechanism [13]. Projects must be performed based on the methodology, approved by Clean Development Mechanism (CDM) Executive Board. For Georgia is used Consolidated Methodology of Baseline Level ACM0017 „Production of Biodiesel for Use as Fuel”[14].

Materials and Research Methods

Each type of fuel has a heat of combustion or calorific value that are represented in special manuals [15], but if this data is not available, standard indicators should be used, from the guideline document - 2006 IPCC Guidelines for National Greenhouse Gas Inventories [16], (table 3).

Table 3

Net Calorific Value (NCV) of Fuel

Fuel Type Description	Net Calorific Value (NCV), (kJ/kg)
Gasoline	44 300
Diesel	43 000
Natural Gas	48 000
Crude oil	42 300
Liquefied natural gas	44 200
Aviation Gasoline	44 300
Kerosene	43 800
Ethan	46 400
Napta	44 500
Bitumen	40 200
Anthracite	26 700
Lignite	11 900
Cox	28 200
Firewood	15 600
Other solid biomass	11 600
Wood charcoal	29 500
Biodiesel	27 000
Other liquid biofuels	27 400
Landfill gas	50 400
Other Biomass Gas	50 400

Each type [17] of fuel has a carbon content data but if this data is not available, should be used standard indicators, from the guideline document - 2006 IPCC

Guidelines for National Greenhouse Gas Inventories [18], (table 4).

Table 4

Carbon Content Data

Fuel Type Description	Carbon, C (Kg/GJ)
Gasoline	18,9
Diesel	20,2
Natural Gas	15,3
Crude oil	20
Liquefied natural gas	17,5
Aviation Gasoline	19,1
Kerosene	19,6
Ethan	18,6
Napta	20
Bitumen	22
Anthracite	26,8
Lignite	27,6
Cox	29,2
Firewood	30,5
Other solid biomass	27,3
Wood charcoal	30,5
Biodiesel	19,3
Other liquid biofuels	21,7
Landfill gas	27,3
Other Biomass Gas	14,9

Conclusion

Results and Their Discussions

To calculate Carbon dioxide (C₂O) emissions consumed by vehicles, needed the country - specific net calorific values are needed (NCV kJ/kg) [19], fuel carbon content (C/Joule) and oxidation coefficient (Oxide Rate,

%), if this data is not available, use standard indicators [20], from the guideline document - 2006 IPCC Guidelines for National Greenhouse Gas Inventories, (table 5) [21].

Table 5

C₂O Emission Coefficient Calculation

Fuel Type Description	Carbon,(kg/G)	Oxide Rate, (%)	Emission Coefficient C ₂ O, (kg/TJ)
<i>1</i>	<i>2</i>	<i>3</i>	<i>4=(2*3*44/12)*1000</i>
Gasoline	18,9	1	69300
Diesel	20,2	1	74100
Natural Gas	15,3	1	56100
Crude oil	20	1	73300
Liquefied natural gas	17,5	1	64200
Aviation Gasoline	19,1	1	70000
Kerosene	19,6	1	71900
Ethan	18,6	1	61600
Napta	20	1	73300
Bitumen	22	1	80700
Anthracite	26,8	1	98300
Lignite	27,6	1	101000
Cox	29,2	1	107000
Firewood	30,5	1	112000
Other solid biomass	27,3	1	100000
Wood charcoal	30,5	1	112000
Biodiesel	19,3	1	70800
Other liquid biofuels	21,7	1	79600
Landfill gas	27,3	1	100000
Other Biomass Gas	14,9	1	54600

To calculate CH₄ and N₂O emissions using transport there is needed a particular data of consumed fuel and fuel carbon content (C/Joule) [22], if this data is not available, the calculations will be performed at the level

I approach from the guideline document - 2006 IPCC Guidelines for National Greenhouse Gas Inventories [23], (table 6).

Table 6

Calculation of CH₄ and N₂O emissions from the transport

Fuel type description	CH ₄ , kg/TJ	N ₂ O, kg/TJ
Gasoline	33	3,2
Diesel	3,9	3,9
Compressed natural gas	92	3
Liquefied natural gas	62	0,2
Ethan	260	41

CO₂-emissions assessment for road transport is carried out by the following formula [24]:

$$\text{CO}_2 \text{ emission} = \sum \text{Fuel}(a) * \text{Ef}(a)$$

Where - CO₂ emissions (tons); Fuel(a) - used (consumed) Fuel (TJ); Ef(a) - the emission coefficient CO₂ (kg/TJ); a - a type of greenhouse gas [25].

Despite the many positive changes that have taken place in Georgia in recent years, the transport sub-sector still needs to take steps to ensure a gradual transition to European fuel standards, renewal of city transport parks, regulation of second-hand car imports, vehicle inspections and other transport-related measures for climate

change related problem solving [26]. Implementing energy efficiency measures, using renewable energy sources to generate electricity, developing high-tech equipment, introducing fuel standards and tightening regulations, replacing and upgrading old equipment in industrial facilities, technical inspections and renovations of all vehicles By introducing construction norms, reducing product packaging, introducing energy efficient technologies in the processing industry and building materials production, replacing the old natural gas transportation and distribution pipes, etc. It is possible to significantly reduce greenhouse gas emissions, which is undoubtedly a contributing factor in reducing climate change [27].

References

1. Jishkariani, M., Dvalishvili, N., Kurakhchishvili, L. (2020). Evaluation of Calorific of Municipal Solid Waste (MSW). In: Ghosh, S. (eds.) Sustainable Waste Management: Policies and Case Studies. *Singapore: Springer*, 263-265. https://doi.org/10.1007/978-981-13-7071-7_23. (In English);
2. Jishkariani, M. (2019). Electricity Tariffs in Georgia. Warsaw, Poland: *World of Science 9(49)*, pp.20-22. Vol.1.[doi:10.31435/rsglobal_ws/30092019/6697](https://doi.org/10.31435/rsglobal_ws/30092019/6697). (In English);
3. Jishkariani, M. (2019). Establish of Energy Efficiency Passports for Private Property Owners, Small and Medium Businesses. Retrieved from ResearchGate: https://www.researchgate.net/publication/335620279_Establish_of_Energy_Efficiency_Passports_for_Private_Property_Owners_Small_and_Medium_Businesses. (In English);
4. Jishkariani, M. (2020). Safety Rules for Power Engineering Companies. Retrieved from Research Gate: https://www.researchgate.net/publication/342233298_Safety_Rules_for_Power_Engineering_Companies. (In English);
5. Jishkariani, M. (2020). Failure Mode and Effect Analysis in Energy Companies. Retrieved from ResearchGate: https://www.researchgate.net/publication/341914208_Failure_Mode_and_Effect_Analysis_in_Energy_Companies. (In English);
6. Jishkariani, M. (2020). Fault Tree Analysis (FTA) For Energy Enterprises. Retrieved from ResearchGate: https://www.researchgate.net/publication/341494947_Fault_Tree_Analysis_FTA_For_Energy_Enterprises. (In English);
7. Jishkariani, M. (2020). Risk Management and Losses Calculation in Energy Enterprises. Retrieved from ResearchGate: https://www.researchgate.net/publication/341130738_Risk_Management_and_Losses_Calculation_in_Energy_Enterprises. (In English);
8. Jishkariani, M. (2020). Load Measurement Forms and Reliability of Power Supply Systems. Retrieved from ResearchGate: https://www.researchgate.net/publication/340234067_Load_Measurement_Forms_and_Reliability_Of_Power_Supply_Systems. (In English);

9. Jishkariani, M., Tsotskhalashvili, S. (2020). Features of Electricity Pricing in Georgia. Georgia, Tbilisi: *Energy*, #4(96), 188-190. Retrieved from ResearchGate:
https://www.researchgate.net/publication/348975571_Features_of_Electricity_Pricing_in_Georgia., (In English);
10. Jishkariani, M., Tsotskhalashvili, S. (2021). Using Google Sheets to Analyze Electricity Tariffs. World science: Problems, Prospects and Innovations. Abstracts of the 5th International scientific and practical conference. Toronto, Canada: *Perfect Publishing*, 97-101.
URL:[https://sci-conf.com.ua/v-mezhdunarodnaya-nauchno-prakticheskaya-konferentsiya-world-science-problems-prospects-and-innovations-27-29-yanvary-2021-goda-toronto-kanada-arhiv/.](https://sci-conf.com.ua/v-mezhdunarodnaya-nauchno-prakticheskaya-konferentsiya-world-science-problems-prospects-and-innovations-27-29-yanvary-2021-goda-toronto-kanada-arhiv/), (In English);
11. Bochorishvili, L., Topuria, M., Jishkariani, M. (2020). Features of Preparing Students in Economic Disciplines in Higher Technical Schools. *Georgian Academy of Education Sciences*. pp.78-84. Retrieved from ResearchGate:
https://www.researchgate.net/publication/348944253_Features_of_Preparing_Students_in_Economic_Disciplines_in_Higher_Technical_Schools. (In English);
12. Vezirishvili-Nozadze, K., Jishkariani, M., Pantskhava, E. (2021). Energy Efficiency - The Most Important Factor in Increasing The Country's Energy Independence. The World of Science and Innovation. Abstracts of the 7th International Scientific and Practical Conference. London, United Kingdom: *Cognum Publishing House*. 132-140.
URL:[https://sci-conf.com.ua/vii-mezhdunarodnaya-nauchno-prakticheskaya-konferentsiya-the-world-of-science-and-innovation-10-12-fevralya-2021-goda-london-velikobritaniya-arhiv/.](https://sci-conf.com.ua/vii-mezhdunarodnaya-nauchno-prakticheskaya-konferentsiya-the-world-of-science-and-innovation-10-12-fevralya-2021-goda-london-velikobritaniya-arhiv/) (In English);
13. Vezirishvili-Nozadze, K., Jishkariani, M., Pantskhava, E. (2021). Climate Change Impact Assessment on Energy. Ankara, Turkey: *Middle East 5th International Conference on Contemporary Scientific Studies, March 27-28, 2021. Vol.1., 369-376.* ISBN-978-625-7898-38-6.
URL:https://www.researchgate.net/publication/350890344_Climate_Change_Impact_Assessment_on_Energy. (In English);
14. Vezirishvili-Nozadze, K., Jishkariani, M., Pantskhava, E. Renewable and non-Traditional Energy Sources. Actual trends of modern scientific research. Munich, Germany: *MDPC Publishing, Abstracts of the 8th International scientific and practical conference. 232-239.*
URL:[https://sciconf.com.ua/viii-mezhdunarodnaya-nauchno-prakticheskaya-konferentsiya-actualtrends-of-modern-scientific-research-14-16-marta-2021-goda-myunhen-germaniya-arhiv/.](https://sciconf.com.ua/viii-mezhdunarodnaya-nauchno-prakticheskaya-konferentsiya-actualtrends-of-modern-scientific-research-14-16-marta-2021-goda-myunhen-germaniya-arhiv/) 2021, (In English);
15. Vezirishvili-Nozadze, K., Jishkariani, M., Pantskhava, E. (2021). Impact of Climate Change on Georgia's Energy Sector - Vulnerability and Adaptation. Science and Education: Problems, Prospects and Educations. Proceedings of the 7th International Scientific and Practical Conference. Kyoto, Japan: *CPN Publishing Group*. 175-183.
URL:[https://sci-conf.com.ua/vii-mezhdunarodnaya-nauchno-prakticheskaya-konferentsiya-science-and-education-problems-prospects-and-innovations-1-3-aprelya-2021-goda-kioto-yaponiya-arh/.](https://sci-conf.com.ua/vii-mezhdunarodnaya-nauchno-prakticheskaya-konferentsiya-science-and-education-problems-prospects-and-innovations-1-3-aprelya-2021-goda-kioto-yaponiya-arh/)(In English);
16. Jishkariani, M., Tsotskhalashvili, S. (2021). Waste Processing for Energy Purposes in Georgia. Turkey: *International Black Sea Coastline Countries Scientific Research Symposium-VI, 66-72.*
URL:[https://b0699d12-70ad-4313-81f10833a431c01a.filesusr.com/ugd/614b1f_c5741b3ac1fd47c59f016a15d6b80a25.pdf.](https://b0699d12-70ad-4313-81f10833a431c01a.filesusr.com/ugd/614b1f_c5741b3ac1fd47c59f016a15d6b80a25.pdf)(In English);
17. Gudiashvili, M., Gagaa, A. (2018). Elaboration of a Forecast Model for Carbon Dioxide Emissions. Georgia, Tbilisi: *GTU, Collection of Scientific Works 3(509), 107-115.*
[http://shromebi.gtu.ge/storage/archit/119/shroma-3509.pdf.](http://shromebi.gtu.ge/storage/archit/119/shroma-3509.pdf) (In English);
18. Gudiashvili, M., Gagaa, A. (2017). Climate Change and Emissions Trading Tendencies. Tbilisi, Georgia: *Business Engineering 3, 334-337.*
URL:<https://drive.google.com/file/d/1yD0czOrr1ivo4seRgXUMHnVmCweSDBzF/view> (In English);

19. Sabelashvili, T., Gudiashvili, M., Radmehr, M. (2016). Biomass Heating System Project. Tbilisi: *GTU, Collection of Scientific Works, 3(501), 78-83*.
URL:<http://shromebi.gtu.ge/storage/archit/71/pdf-1490183445-Kz9cerQA71B5baTSfxNbeWz84dk8Mca.pdf> (In English);
20. Chachibaia, G., Samsonia, N., Gudiashvili, M. (2016). Impact of Georgian Project Hydro Power Stations on Climate Change. Tbilisi: *GTU, Collection of Scientific Works, 3(501), 69-77*.
URL:<http://shromebi.gtu.ge/storage/archit/71/pdf-1490183445-mKz9cerQA71B5baTSfxNbeWz84dk8Mca.pdf> (In Georgian);
21. Gudiashvili, M., Lomidze, S. (2014). Modelling of the Structure of Georgian Electro System. Tbilisi: *GTU, Collection of Scientific Works, 4(494), 9-14*.
URL:<http://shromebi.gtu.ge/storage/archit/8/pdf-1450228979-8XcIG8yXqzCm4gGIUUJDgEnkhHj30Agl.pdf> (In Georgian);
22. Gudiashvili, M., Lomidze, S. (2013). Prognosis of Hydro Power Plant Energy Indicator by Using the Least Square Method. *Business Engineering, 4, 126-127*.
URL: <https://drive.google.com/file/d/0B3PZSQNPT43Sa0xXUUwwRGNpMkE/edit> (In English);
23. Gudiashvili, M. (2013). Software Modelling of a Small HPP Business Process. Tbilisi: *GTU, Collection of Scientific Works, 3(489), 13-16*.
URL:<http://shromebi.gtu.ge/storage/archit/29/pdf-1466595685-sDHT1LSTrs4aB7hpyL2slNC6sstXcWo4.pdf> (In English);
24. Gudiashvili, M. (2013). Decision Tree Method in Energy Management. Tbilisi, Georgia: *Grigol Robakidze University Academic Digest - Business and Management, 1*.
URL:http://phasis.tsu.ge/index.php/GRUNI_B/article/view/209/pdf. (In English);
25. Gudiashvili, M., Bzhalava, N., Jishkariani, T. (2007). Computer Modeling of Electricity Tariffs. *Georgian Economics, 4(113), 70-72*.
URL: <http://geoeconomics.ge/?p=2806>. (In Georgian);
26. Gudiashvili, M., Samsonia, N. (2006). The Issue of Expediency of New Tariffs of Electricity. *Georgian Economics, 7-8(104-105), 68-69*.
URL: <http://geoeconomics.ge/?p=2417>. (In Georgian);
27. Gudiashvili, M. (2005). Identification of Small Hydroelectric Plant Reserves with Chain Method. Georgia, Tbilisi: *Georgian Economics, 7(92), 52-53*
URL: <http://geoeconomics.ge/?p=1897>. (In Georgian);

UDC 620.9

SCOPUS CODE 2101

<https://doi.org/10.36073/1512-0996-2021-3-59-68>

ტრანსპორტიდან სათბური გაზების ემისიების შეფასების კრიტერიუმები

მაკა ჯიშკარიანი ელექტროენერგეტიკისა და ელექტრომექანიკის დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას 75
E-mail: m.gudiashvili@gtu.ge

რეცენზენტები:

ნ. სამსონია, სტუ-ის ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის პროფესორი

E-mail: n.samsonia@gtu.ge

ქ. ვეზირიშვილი-ნოზაძე, სტუ-ის ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის პროფესორი

E-mail: k.vezirishvili-nozadze@gtu.ge

ანოტაცია. მოცემულ ეტაპზე, კლიმატის ცვლილების ეკონომიკური კვლევა და მისი მთავარი პრობლემა მოითხოვს სხვადასხვა ფაქტორის ღრმა მეცნიერულ შესწავლას და ანალიზს. ჰაერის დაბინძურების მნიშვნელოვანი წყაროა ენერგეტიკული სექტორი, განსაკუთრებით მყარი და თხევადი საწვავი, რომელიც გამოიყენება თბოელექტროსადგურებში ტექნოლოგიური მიზნებისათვის. საქართველოში თბოელექტროსადგურებში გამოიყენება მთლიანად გენერირებული ელექტროენერჯის 1/5. სტატიაში გაანალიზებულია სათბურის გაზების ემისიები საქართველოში სექტორების და ქვესექტორების მიხედვით, აგრეთვე საწვავის წვის შეფასების კრიტერიუმები, როგორცაა საწვავის ნეტო კალორიული ღირებულება და ნახშირბადის შემცველობის სტანდარტული ინდიკატორები. ნაშრომში შემუშავებულია სატრანსპორტო საშუალებებიდან CO₂, CH₄ და N₂O ემისიების გაანგარიშების ფორმულა.

საკვანძო სიტყვები: სათბურის გაზები; ელექტროინჟინერია; სათბობის წვა; ტრანსპორტი.

UDC 620.9

SCOPUS CODE 2101

<https://doi.org/10.36073/1512-0996-2021-3-59-68>

Критерии оценки выбросов парниковых газов от транспорта

Мака Джигшкарцანი Департамента електроенергетики и електромеханики, Грузинский технический университет, Грузия, 0160, Тбилиси, ул. М. Костава 75
E-mail: m.gudiashvili@gtu.ge

Рецензенты:

Н. Самсония, профессор факультета энергетика и телекоммуникаций ГТУ

E-mail: n.samsonia@gtu.ge

К. Везиришвили-Нозадзе, профессор факультета энергетика и телекоммуникаций ГТУ

E-mail: k.vezirishvili-nozadze@gtu.ge

Аннотация.

На современном этапе экономические исследования изменения климата и его основной проблемы требуют глубокого научного изучения и анализа различных факторов. Важным источником загрязнения воздуха является энергетика, особенно твердое и жидкое топливо, используемое в технологических целях на тепловых электростанциях. В Грузии 1/5 всей вырабатываемой электроэнергии производится на тепловых электростанциях. В статье анализируются выбросы парниковых газов в Грузии по секторам и подсекторам, а также критерии оценки сжигания топлива, такие как низшая теплотворная способность топлива и стандартные показатели содержания углерода. В статье разработана формула для расчета выбросов CO₂, CH₄ и N₂O от транспортных средств.

Ключевые слова: парниковые газы; сжигание топлива; транспорт электроэнергетика.

The date of review 11.06.2021

The date of submission 14.06.2021

Signed for publishing 29.09.2021

UDC 621.313.13

SCOPUS CODE 2102

<https://doi.org/10.36073/1512-0996-2021-3-69-75>

მრავალძრავიანი ელექტროამძრავის მრავალარხიანი მართვის სისტემის დინამიკური მახასიათებლები მექანიკური გადამცემების დრეკადობათა გათვალისწინებით

ნანა ბერაძე ენერგეტიკისა და ელექტრონიკის დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას 75
E-mail: beradzenana@gmail.com

ოლეგი ხაჭაპურიძე ენერგეტიკისა და ელექტრონიკის დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას 75
E-mail: o.khachapuridze@gtu.ge

რეცენზენტები:

ს. მეზონია, საქართველოს მეცნიერების ეროვნული აკადემიის მანქანათა მექანიკის ინსტიტუტის წამყვანი სპეციალისტი

E-mail: meboniaslava@mail.ru

ე. კორქია, სტუ-ის ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი

E-mail: e.korkia@gtu.ge

ანოტაცია. სამეცნიერო სტატიაში განხილულია მუდმივი დენის ორ- და სამძრავიანი ტირისტორული ელექტროამძრავის დინამიკური მახასიათებლების გამოკვლევა, მრავალძრავიანი მართვის სისტემის შემთხვევაში, მექანიკური ლილვების დრეკადობის გათვალისწინებით. ასეთი მრავალძრავიანი მართვის სისტემები ფართოდ გამოიყენება მეტალურგიულ წარმოებაში. მაგალითად, ფურცელ საგლინავ დგანებში, სადაც მექანიკურ ნაწილში ადგილი აქვს მნიშვნელოვან დინამიკურ გრეხით მომენტებს.

ნაშრომში ასევე განხილულია შეკრული მრავალძრავიანი სისტემის ფუნქციონალური და სტრუქტურული სქემები


გარდამავალი რეჟიმების კვლევების შედეგად მიღებული ხარისხის მაჩვენებლები ახლოსაა ოპტიმალურ პარამეტრებთან, ამიტომ განხილული სისტემა ვარგისია მრავალძრავიანი საგლინავი დგანებისთვის.

საკვანძო სიტყვები: მრავალძრავიანი; ავტომატიზებული; ელექტროამძრავი; ასინქრონული; ტირისტორი; აგზნებით რეგულირებადი; ელექტროამძრავი დრეკადი კავშირებით.

შესავალი

მეტალურგიული წარმოების ფურცელსაგლინი დგანები, როგორც წესი, წარმოადგენს მრავალ-ლილვიან საწნებ დანადგარებს, რომლებსაც შემდეგ მოემსახუროს როგორც ცვლადი, ისე მუდმივი დენის მრავალძრავიანი ელექტროამძრავები [1-3]. სიჩქარის რეგულირების დიაპაზონისა და მუშაობაში საიმედოობის თვალსაზრისით ზოგიერთი ფორმები ამ ტიპის მანქანებზე ამჯობინებს 1-ლ სურათზე წარმოდგენილი მუდმივი დენის მრავალ-ძრავიანი ავტომატიზებული ტირისტორული ელექტროამძრავის მართვის სისტემას[4-8].

ძირითადი ნაწილი




სურ. 1

სქემაზე გვაქვს: სრ1-სრ3 არის სიჩქარის რეგულატორები; დრ1-დრ3 – დენის რეგულატორები; ტგ1-ტგ3 – ძრავების ღუზების მკვებავი ტირისტორული გამმართველები; M1-M3-მუდმივი დენის დამოუკიდებელ ალგზნებიანი ძრავები; u_a – სისტემის მართვის სიგნალი; $\omega_1, \omega_2, \omega_3$ – ძრავების ბრუნთა კუთხური სიჩქარეები.


2 ა,ბ-ე სურათებზე წარმოდგენილია ორ და სამძრავიანი ელექტროამძრავების გარდაქმნილი

სტრუქტურული ბლოკ-სქემები. სქემებზე შესაბამისად გვაქვს შემდეგი აღნიშვნები: $W_{0i}, i = \overline{1;3}$, $M_{iq}, i, q = \overline{1;3}$ პირდაპირი არხების და არხებს შორის ურთიერთმაკავშირებელი რგოლების ექვივალენტური გადამცემი ფუნქციებია.

3-ე სურათზე წარმოდგენილია დრეკად მექანიკურ ლილვებიანი ორძრავიანი ტირისტორული ელექტროამძრავის დეტალიზებული სტრუქტურული სქემა, რომელიც შედგენილია ანალოგიურად [4]-ში მიღებული გადამცემი ფუნქციების გამოყენებით.




ა)



ბ)

სურ. 2




სურ. 3

